# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

იოსებ ნონეშვილი

● №7 (4606) ● 24 ნოემბერი ● 2022 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი


*მადლი გფენიათ მარჯვენაზედა, 179-ე სკოლელებო!*

# გულითა გაუტეხელნო, მოუღალავნო მკლავითა



**შემთხვევით** არ შემირჩევია ვაჟას ფრაზები სათაურად. ერთ ჭირსა კარსა მომდგარსა, სხვაც ბევრი წაეკიდებაო, - წერდა აკაკი. სამი სასწავლო წელი დამოკლეს მახვილივით თავზე გვეკიდა კოვიდპანდემია. მერეა და აგერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომი ჩვენც გვაზანზარებს. ნათქვამია: გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართზეც წამოეწიაო. საუბედუროდ, ავარიულობის გამო სკოლის შენობა სარემონტო გახდა. იცი, მკითხველო, რა ძნელია სხვის ჭერქვეშ ცხოვრება? ჰოდა, იძულებით 180-ე სკოლას შეეხიზნენ პედაგოგები.

ყოველივე ამას: ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ, გონებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ წნეხს გაძლება არ უნდა? გაუძლეს კი არა, ჭირს მიუხტნენ მამაცურად, ქვითკირივით გამაგრდნენ. ამიტომაც ვამბობთ დაბეჯითებით: დირექტორ **ხათუნა ნებიერიძის**, მოადგილეების: **ნინო ბერიძის, სვეტლანა ალოიანის, რუსუდან გორდელაძის,** სკოლის ყველა მუშაკის ძალისხმევა-საქმიანობა გმირობის ტოლფასია.

იმედი მაქვს, სხვები წყენას გულში ოდნავადაც არ გაივლებენ და დიდ დირექტორ **ხათუნა ნებიერიძეზე**, როგორც განათლების სისტემის გამოჩენილ, ღირსეულ მოღვაწეზე, უაღრესად მაღალი წარმოდგენისა ვარ და მინდა ჩემი შეფასებები ცალკე გაგიზიაროთ. ქალბატონმა ხათუნამ მეტად შედეგიანად და ნაყოფიერად იღვაწა თბილისის **130-ე საჯარო სკოლაში**. მდიდარი გამოცდილებით, გამარჯვების რწმენით მოვიდა 179-ეში და საკუთარი ხელწერა შემოიტანა. მოკლე ხანში შეკრა პედკოლექტივი, შეადუღაბა, საერთო მიზნის მისაღწევად აღანთო.

სხვაგან ძნელად მეგულება სკოლები, სადაც ასეთი მეგობრობა - სიყვარული და ჰარმონია სუფევდეს. ამიტომ **ხათუნა ნებიერიძეს** იმ გამოჩენილ მოღვაწეთა და დიდ დირექტორთა თანავარსკვლავედში თამამად მოვიაზრებ, როგორიც იყვნენ და არიან: **გრიგოლ კობახიძე** (77-ე სკოლა), **ლევან ჩიქვანაია, აკაკი კივილაძე** (მე-8), **მიშა მინდაძე** (161-ე), **დემურ კალანდაძე**, **თენგიზ გულორდავა** (106-ე), **ნაზი ნადირაძე** (ლიცეუმი „ცოდნა”) და სხვები. მაშ, სულ წინ და წინ გევლოს, ქალბატონო ხათუნა!

ვიცი, ბევრი მისაყვედურებს მოჭარბებული პათეტიკისათვის. გიპასუხებთ პოეტ ნონეშვილის პერიფრაზით: მადლობას იმსახურებენ პედაგოგები ჩვენი, მათ ღირსებას და გმირობას ქებადიდება შვენის.

მკითხველს თეროიულ მსჯელობას ყოველთვის ურჩევნია კონკრეტიკა, ფაქტები და



აი, ისიც: სკოლიდან დასმულ კითხვებზე ვრცელი ინფორმაცია მივიღეთ. გთავაზობთ მას თითქმის უცვლელად, მცირე კორექტივებით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ინფორმაციის შემდგენელს.

* * *

## მიღწეული შედეგები და მისაღწევი მიზნები

თბილისის N179 საჯარო სკოლა აშენებულია 1985 წელს, ამჟამად სკოლაში 1480 მოსწავლეა. სკოლის უაღრესად ერუდირებულ დირექტორ **ხათუნა ნებიერიძესთან** ერთად მეტად ნაყოფიერად მუშაობენ მოადგილეები: **ნინო ბერიძე, სვეტლანა ალოიანი** და **რუსუდან გორდელაძე.** ბუღალტერი - **ნათელა აფციაური**, საინფორმაციო მენეჯერი - **ზოია მათეშვილი**, საქმის მწარმოებელი - **თამარ ნანდოშვილი**, სკოლის ექიმი - **ნათია ბერელაშვილი**, სპეციალური პედაგოგი - **თამარ კევლიშვილი**, მნე - **შოთა ჯაგაშვილი**, აიტი - **ლევან მგელაძე**, დამლაგებლები: **მაია ჭელიძე, ქეთო კობაიძე, სოფო შაშიკიანი, ნანა ალიხანაშვილი.**

ამჟამად სკოლა ადგილმონაცვლეა.საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ქ.თბილისის 180-ე საჯარო სკოლაში.იმედი გვაქვს,რომ 2024 წელს შევხვდებით ახალ და ლამაზ სკოლაში.

ქალბატონი **ხათუნა ნებიერიძე** 2007-2011 სასწავლო წლებში იყო 130 საჯარო სკოლის დირექტორი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ქალბატონი ხათუნა შესანიშნავად უძღვება სკოლის მართვას და სწორი მენეჯმენტით შეძლო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 745 -დან 1480-მდე გაეზარდა.

2022-2023 სასწავლო წელს ჩვენი რთული პირობების მიუხედავად სკოლაში გაიხსნა ხუთი პირველი კლასი, რომელთა დამრიგებლები არიან: **მარინე მინდიაშვილი, ელენე გოგოლაშვილი, ლიანა სიგუა, ეკა კილასონია, ნინო სახელაშვილი.**



სკოლას ჰყავს ახალი სამეურვეო საბჭო, მისი თავმჯდომარეა - **რუსუდან გორდელაძე**, მდივანი- **მარიამ დვალი**. წევრები: **რუსუდან გორდელაძე** (პედაგოგი); **მარიამ დვალი** (პედაგოგი); მთვარისა წიკლაური (პედაგოგი); **მარიამ ქავთარაძე** (პედაგოგი); **ია ყანდაშვილი** (პედაგოგი); **ნაირა ჩანქსელიანი** (პედაგოგი); **ვიოლეტა ეხვაია** (III საფეხური); **ზეინაბ მიქავა** (მშობელი III საფეხური); **თამარ ფიფია** (მშობელი II საფეხური); **ნათია გოგოჭური** (მშობელი II საფეხური); **მაკა ნიჟარაძე** (მშობელი I საფეხური); **ქეთევან გრძელიშვილი** (მშობელი I საფეხური);

სკოლაში სულ 76 პედაგოგია აქედან 70 სერთიფიცირებულია.

წამყვანია 9 პედაგოგი: **ვაჟა ორველაშვილი, მაია ბურდული, მარიამ ალადაშვილი, მაკა ჯავახიშვილი, ია ყანდაშვილი, სოფიო ჭარბაძე, თამარ ნანდოშვილი, მაია მაჭარაშვილი, ნინო სახელაშვილი.**

2022 წელს მასწავლებლის პროფესიული უნარების გამოცდა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად რვა (**მარიამ დვალი, ირმა ქუფარაშვილი,ოლღა კვეზერელი, მარინა ჭუმბურიძე, ეკა კილასონია, ლიკა ცუხიშვილი, ლანა პაპუნაშვილი, ლელა მუშკოპიშვილი**), ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად ერთმა (**მარიამ ქავთარაძე**) პედაგოგმა გადალახა ბარიერი.

სკოლაში სულ 7 კათედრაა. ყველა კათედრა თავისი საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფურ-ინდივიდუალურ და სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ორიენტირებული არიან ცოდნის მაღალ ხარისხზე. ესენი არიან: ქართული ენა და ლიტერატურის ხელმძღვანელი - **ია ყანდაშვილი**; მათემატიკა - **მარიამ მათეშვილი**; საზოგადოებრივი მეცნიერებებისა - **ეკა ფირანიშვილი**; უცხო ენისა - **სალომე ვაიტაძე**; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა - **ნანა ხატიური**; დაწყებითის კათედრისა - **სოფიო ჭარბაძე;** ესთეტიკისა - **მზია ბოტკოველი**;

სკოლაში სწავლება წარმოებს ესგ მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ბავშვს აქვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის და აკადემიური მიღწევის შესაძლებლობა.

გასულ სასწავლო წელს გვყავდა რვა ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით, სიგელებით.

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებულის წრე, პედაგოგი - **გვანცა**

სკოლის ბიბლიოთეკარია **ზეინარ ჯაჭვლიანი**. ბიბლიოთეკა მდიდარია მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით, მოსწავლეები აქტიურად კითხულობენ წიგნებს. ცოდნის თვალსაწიერს იფართოებენ.

ასევე ჩართულნი არიან eTwinning საერთაშორისო კონკურსში,სადაც მონაწილეობენ სხვადასხვა საინტერესო პროექტში.

სკოლა აქტიურად მონაწილეობს კინგსის, ევერესტის, სმარტის კონკურსებში, სადაც გვყავს გამარჯვებულები.

პედაგოგ **ანა შეყლაშვილის** მოსწავლეებმა: **თეკლა ირემაძემ, ნიკოლოზ ცხადაიამ, ბარბარე ნიკოლაშვილმა, ანდრია ვაშალომიძემ, ნუცა შარიამ, საბა მიქავამ** მონაწილეობა მიიღეს კინგსისა და ევერესტის ოლიმპიადებში და დიპლომები გადაეცათ.

გაგრძელება მე-2 გვ.



*მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!*

# ახალი ელვარება „ათინათისა“ და „ანთოლოგიისა“

## „ათინათი“ ცოდნა-განათლების უშრეტი წყაროა

**ხუთი** წლის წინათ ვწერდი: ეს ჟურნალი ათინათი კი არა, მზეა-მეთქი, ჩახჩახა.




შეგახსენებთ, რომ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე შეიქმნა მრავალპროფილიანი ჟურნალი **„ათინათი“** და ალმანახი **„ანთოლოგია“**.

ერთი ბრძენი კაცი ბრძანებდა, კადრები წყვეტენ ყველაფერსო. ამ მხრივ ვითარება თავიდანვე იდეალური იყო. რედაქციამ თანამშრომლებად შემოიკრიბა სახელოვან მამულიშვილთა „ოქროს ნაღები“: მეცნიერების, განათლების, კულტურის მუშაკები, მხატვრული სიტყვის დიდოსტატები, უმრავლესობა სულ აკადემიკოსები და პროფესორები: **როინ მეტრეველი, რეზო მიშველაძე, რეზო ადამია, ნიკო ხერკელაძე, მამა ამირან ამირანაშვილი, ტიტე მოსია, ლუარა სორდია,** ყველა სფეროს ავტორიტეტები. ბოდიშს ვიხდი, რომ ყველას ვერ ვახსენებ. ამიტომ გახდა ეს გამოცემები ენციკლოპედიური ხასიათისა, მეტად პოპულარული.

და ამ დიდებულ ლაშქარს გაუძღვა მეტად ენერგიული მხედართმთავარი: ვინ არის იგი? მალე მოგახსენებთ. მანამ ერთმა ცნობილმა ზუგდიდელმა ჟურნალისტმა **მერი ფაჩუაშვილმა „ათინათის“** დაბადების წელს გამოსცა წიგნი **„ქალი – სუსტი, ქალი – ძლიერი“**, რასაც მივუძღვენი სტატია **„ქალი მუდამ ძლიერი“**. ეს ეპითეტი „მუდამ ახალგაზრდა და მშვენიერის“ დამატებით ზუსტად მიესადაგება ჩინებულ პოეტს, ამ ჟურნალის სულისჩამდგმელს, მეტად ერუდირებულ მთავარ რედაქტორს **გულნაზ ხარაიშვილს.** მე მუდამ მაოცებდა დღესაც მაოცებს მისი ენერგია და შრომისმოყვარეობა.

ნათქვამია: ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავსო. ჩემი, როგორც პედაგოგის სამრეკლო, სწავლა-აღზრდა, ფართო განათლება, წიგნის სიყვარული, შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება მომავალი თაობისა. მათი შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბება, ხელის წაკვრა და დაკვალიანებაა. ამ კუთხით ნაყოფიერად მუშაობს რუბრიკა **„ნორჩი ათინათელები“**, რომელსაც ჩინებულად უძღვება თბილისის 167-ე სკოლის პედაგოგი **ლამარა გერგედავა**. პატრიოტულ-აღმზრდელობითი ლექსებით ჟურნალს უხვად ამარაგებენ და აქვეყნებდნენ გამოჩენილი საბავშვო პოეტები: **ლეილა ვადაჭკორია** და აწგანსვენებული **ნაირა ნიჟარაძე**, წლევანდელ მე-2 ნომერში დაბეჭდილია ნორჩი ათინათელების, 85-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასელის, **მარიამ ხარაიშვილის** ნახატები, საიდანაც მომავალი დიდი მხატვარი ილიმება. იგივე ითქმის **ანნა-მარია პედანიანზე**, რომლის ფანტაზიის ნაყოფი დიდ სიხარულს გვპირდება. აი, **გიორგი ქენქაძის** ილუსტრირებული ზღაპრები: **„ნებიერა კუსა“, „ცქნაფა“, „ყურცქვიტა და ნებიერა“**, საიდანაც ნიჭიერი მომავალი პროზაიკოსი იმზირება. კიდევ ბევრ სულისა და გონის საზრდოს იპოვით ამ ნომერში.

კოლეგებო, მოსწავლეებო, პედაგოგებო, სკოლის დირექტორებო, თანამშრომლობის სურვილი თუ გაქვთ, დაუკავშირდით მთავარ რედაქტორს: 593 65 79 21.

გთხოვთ და მოგიწოდებთ: მწყურვალე ირემივით დაეწაფოთ ცოდნა-განათლების ამ უშრეტ წყაროს! გიყვარდეთ წიგნი! შეიძინეთ „ათინათი“, გიყვარდეთ „ათინათი“ მეტად, თავზე მეტად!

## „ანთოლოგია“ უნიკალურ-უნივერსალური წყაროა სიბრძნისა

შეგახსენებთ არჩილ მეფის სიტყვებს: „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, იგი არც თუ მორევია“. იქნებ არ იყოს ზუსტი შედარება, მაგრამ იგივეს ვიტყვი „ანთოლოგიაზე“. იგი არის ენციკლოპედიური ხასიათისა. იგი არის ანგარიში, ნაზავი, ჯამი, იმ სიბრძნეთა, რაც წლის მანძილზე „ათინათს“ უგროვებია.

2022 წლის XI ტომზე ისევ ჩემი სამრეკლოდან მსურს საუბარი. ჩემთვის პრინციპულ მასალას შევარჩევ. აი, ისინი: **ლაურა სორდია** - „ჩაფიქრებული, როგორც მისანი“, **ნიკო ხერკელაძე** - „ცრემლში ნალესი ხმალი“. **რეზო ადამია** - „მზე, ენერგია, „ვეფხისტყაოსანი“, **ვაჟა ეგრისელი** - „კოსმიური პოეზია“, **მაყვალა გონაშვილი** - „და წვიმა ყველა ნაკვალევს წაშლის“, **გერმანე საზანოელი** - „მუზას“, **ამირან ამირანაშვილი** - „დილა ზაფხულში“, **გულნაზ ხარაიშვილი** - „აკადემიის წევრების ფიცი“, **ლეილა ვადაჭკორია** – სადიდო ლექსები, **ნანული ყურ-**




**შუბიძე** – საბავშვო ლექსები, **სოსო სიგუა** - „თორმეტნი“... ჩემი აზრით, ეს ნაწარმოებები მეტად დახვეწენ მხატვრულ-კულტურულ გემოვნებას მკითხველისას.

მავანი მისაყვედურებს, ნიმუშად რამდენიმე ამონარიდი რატომ არ გაგვაცანიო. მარტივად გეტყვით: გამიჭირდა ამორჩევა. კაცის ბუნება ასეთია: მე რატომ არ მახსენა, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო.

თავიდანვე ამაღლებული ტონი ავიღე, რასაც ჩემს თავს ცოდვად არ ვუთვლი, რადგანაც: „სულ მზესავით ბრიალებს, „ათინათი“ ჩვენი, „ანთოლოგიის“ მზიანეთს, ქება-დიდება შვენის“.

და ბოლოს ისევ პათეტიკა: „არ დაიხრება არასდროს, **ათინათ** დროშა მაღალი, როგორც არ დაიხრებიან მთები თოვლგადანაყარი“.

**ბორის მიშველაძე,**
„სახალხო განათლების“ რედაქტორი,
საქ. დამს. ჟურნალისტი



**ვალია კვაშილავა**

### პირველკლასელს

**ამ** ყინვაში პაწაწინავ,
საით მიიჩქარი?
ყინვამ ცრემლი დაგადინა,
თმებს გიწეწავს ქარი.

საით მიდის შენი ფიქრი,
სად გელიან ახლა?
დაგედევნა თოვლის ფიფქი,
რომ შეგატყო დაღლა.

მიდიხარ და ნაზ კულულებს,
თითზე იხვევს ქარი,
ნამქერს ისე აბულულებს,
ველარ გიჭრის თვალი.

კიდევ ცოტა მოთმინება,
გამოჩნდება კარი,
ყინვაც დაგემორჩილება,
რომ დარეკავს ზარი!

უკვე ისმის სკოლის მიღმა,
ჟრიამული ბავშვთა,
ქარი ველარ მოგერევა,
ყინვაც უკან დარჩა.

შენთვის პირველ მასწავლებელს,
გზისკენ რჩება თვალი,
და მშობლების გამხარებელს,
ხელებს გიქნევს ქარი!

### პირველად

**ამ** სკოლაში დღეს პირველად
შემოვადგი ფეხი,
მელოდება ჩემი კლასი,
და პირველი მერხი.

დღეს პირველად გაიღება,
ჩემთვის ცოდნის კარი,
დე, გვფარავდეს ყველას ერთად,
ქრისტე ღმერთის ჯვარი!

ამ ეზოში გავიზრდები,
ფრთებს დავისხამ ლოცვით,
გაკვეთილებს ჩავუჯდები,
ვინლა მნახავს მოცლილს!

ვიოცნებებ გამოვადგე,
ჩემს სამშობლოს ძირძველს,
წარმატებით გავახარებ
მასწავლებელს პირველს!

## მადლი გფენიათ მარჯვენაზედა, 179-ე სკოლელებო!

### პირველი გვერდიდან

**მარიამ ქავთარაძის** მოსწავლეებმა **საბა გოგილაშვილმა** და **მილენა ბადალიანმა** კინგსის კონკურსში დიპლომები დაიმსახურეს.

**ნაირა ჩანქსელიანის** მოსწავლეებმა **გიორგი ჯანიაშვილმა**, **გვანცა ბანეთიშვილმა** და **ქეთევან წივილაშვილმა** კი - I ხარისხის დიპლომები.

**ნათელა ჯავახიშვილის** მოსწავლეებმა **როლანდ რუბაშვილმა** და **გიორგი მჭედლიშვილმა** წარმატებით მიიღეს მონაწილეობა კონკურსში.

**ეკა კალაიჯიშვილის** მოსწავლე **გიორგი კოჭლამაზაშვილმა** მათემატიკასა და ისტორიაში III ხარისხის დიპლომები მოიპოვა.

პედაგოგ **თამარ ნანდოშვილის** მოსწავლემ **ბარბარე დარჩიაშვილმა** მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო ვებგვერდის Deams -goals-ის მიერ განხორციელებულ კალიგრაფიის კონკურსში,სადაც პირველი ადგილი აიღო.

მივესალმებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ ინიციატივას - სკოლებში საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შესწავლას.სასურველია მოსწავლეები მსოფლიოს ისტორიასთან კავშირში საქართველოს ისტორიას გაეცნონ, რათა შეძლონ მსოფლიო მოვლენები, პროცესები შეისწავლონ და დაუკავშირონ საქართველოს ისტორიის საკითხებს.

ახალგაზრდებს შეეძლებათ საშუალო საფეხურზე უწყვეტად შეისწავლონ ჩვენი ქვეყნის ისტორია.

### დასკვნის მაგიერ

თითქმის მშრალი სტატისტიკაა, არა? მაგრამ ამის უკან დგას დაძაბული, ცოცხალი, მჩქეფარე ცხოვრება სკოლისა. ქვეტექსტებში იკითხება თავდადებული საქმიანობა თითოეული მუშაკისა. ამდენი თანამშრომლის ჩამონათვალი რა საჭირო იყოო? - იტყვის კაცი. მეტად საჭირო გახლავთ, რადგანაც კარგად ჩანს: რა მტკიცედ და ჰარმონიულადაა შეკრული, დარაზმული პედკოლექტივი დიადი მიზნის მისაღწევად. მეორე: მომავლისთვის, ისტორიისთვის არის საჭირო ეს. სკოლას ორიოდ წელიწადში საიუბილეო წელი ელოდება. იგი 40 წლის გახდება. ბოლოს რა გვეთქმის? - დიდი მადლობა ყველა მუშაკს, სკოლისას ადმინისტრაცია-პადაგოგებიანად.

გვერდი მოამზადა
**ბორის მიშველაძემ**

***რედაქტორის მინაწერი:*** *ულრმესი მადლობა სკოლის დირექტორს, მოადგილეებს, ყველა თანამშრომელს სკოლისა დახმარებისათვის, მხარში დგომისათვის. ისინი მუდამ მზად იყვნენ და არიან აქტიურად, შემოქმედებითად, ნაყოფიერად ითანამშრომლონ 100 წელიწადს მიტანებულ მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლებასთან”. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა თქვენ!*

სახალხო განათლება+

**წარსული მომავლისათვის!**

# ლეგენდარული მასწავლებელი (ნარკვევი)



**მზე** ოქროს ვარაყად მოსდებოდა და სკოლის ფანჯრებს ეთამაშებოდა.

ერთ-ერთ ოთახში, დირექტორი **გრიგოლ დათიაშვილი,** ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო.

რამდენი რამ არის გასაკეთებელი, წესრიგში მოსაყვანი: პირველ რიგში კი – შენობა, აუცილებლად უნდა შევაკეთოთ. განათლების რაიგანყოფილებაში წარსადგენი „სამუშაო გეგმა-პროექტი“ შეადგინა.

**ხიზამბავრის** საშუალო (თერთმეტწლიანი) სკოლა ერთ-ერთი ძლიერი იყო რაიონში. გრიგოლ დირექტორს სურდა სანიმუშო მაგალითად ექცია პედაგოგიური კოლექტივი. ამ მიზნით ძალას არ იშურებდა, სიახლეებით გაემდიდრებინა სასკოლო ცხოვრება. თათბირებზე რამდენჯერმე დაასახელეს სკოლის წამყვან პედაგოგთა მეთოდური მუშაობის გამოცდილება. სწავლებაში მიღწეული წარმატებული დონე.

ორმოცდაათ წელს მიტანებულ გრიგოლს უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა პედაგოგიური მუშაობისა და რესპუბლიკაში დამსახურებული მასწავლებლის წოდებამინიჭებული ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას, მოსწავლეებს ისტორია-გეოგრაფიას ასწავლიდა სიცოცხლის ბოლომდე.

პედაგოგიური მოღვაწეობა 18 წლისამ დაიწყო. ასპინძის რაიონული გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ. სოფელ **ხერთვისის** ოთხწლიანი სკოლის პედაგოგად დაინიშნა. ეს იყო მისი პედაგოგიური ნათლობის შთამბეჭდავი დღეები. ახალგაზრდა პედაგოგს მუშაობა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში უწევდა. მესხეთი – სსრკ-ს უკიდურეს სამხრეთით. ხერთვისსა, ტოლოში და ა. შ. ძვ. სამცხე-საათაბაგო დასახლებული იყო თურქებით და ამდენად, გრიგოლს მუშაობა მეტად რთულ ვითარებაში უწევდა, არამარტო მოსწავლეებთან. მოსახლეობა ნაკლებად, ან სრულიად არ ფლობდა ქართულ ენას. ძნელი იყო მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან, რომლებიც მტრულად უყურებდნენ ადგილობრივ, მკვიდრ ქართულ მოსახლეობას და აბორიგენებად თვლიდნენ თავიანთ თავს.

ჭკვიანმა პედაგოგმა ჰუმანურობის პრინციპი აირჩია და მტრის ენა შეისწავლა. ისტორიის გაკვეთილებს ქართულად ხსნიდა და შემდეგ თურქულად თარგმნიდა, რომ კლასში ყველას ერთნაირად გაეგო შესასწავლი მასალა. ამით მან ხელი შეუწყო ქართველი და თურქი ბავშვების დამეგობრებას, ენების შესწავლას.

ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, როცა გრიგოლი, ჩვეულებრივ, შინ, თავის სოფელ ვარგავში ბრუნდებოდა, დაალამდა. თათრები ყანებში გამოსულიყვნენ სამუშაოდ. მიესალმა, ჩადრმოხსნილ ქალს უნებლიედ სახეზე შეხედა. ეს თათრულ წესს არ სჩვეოდა. მისი ქმარი გაბრაზებული გამოუდგა: - ჯობია შენს ცოლს მიხედოო.

გრიგოლმა გზა განაგრძო. საკმაოდ ჩამობნელდა. ხერთვისიდან შვიდ კილომეტრზე იყო მისი სოფელი. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. უცებ ორმა დიდმა წერტილმა გაიელვა მის წინ. შემკრთალი გზას დაზეპირებული ლექსივით მიჰყვებოდა. ანთებული დიდი წერტილები თანდათან ახლოვდებოდა, ხმაურსაც მოიყოლებდა. შეეშინდა, მაგრამ გული გაიმაგრა. უცბად რაღაცამ ძალიან ახლოს გაიელვა, თითქმის მის თვალთან და კბოდეზე რიხინ-რიხინით დაეშვა, თითქოს ლოდი დააგორესო. ალბათ, მგელი იყო.

ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

გიმნაზიის შემდეგ გრიგოლმა ახალციხის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა. სწავლის პერიოდში ოჯახი შექმნა, რაიონის თითით საჩვენებელ, მშრომელ, ჩინებულ ქალთან ერთად, რომელსაც საკავშირო ბრძანებით: როგორც „ომის ზურგში დამკვრელურ სოციალისტურ შრომაში გამარჯვებულს“ სტალინის მედალი მიანიჭეს. სიცოცხლის ბოლომდე ჩინებულ ოჯახს მართავდნენ მოსიყვარულე მეუღლეები.

ტექნიკუმის დამთავრებისთანავე გრიგოლმა პუშკინის სახლობის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაშურა და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხა. პარალელურად მუშაობდა, რომ ოჯახი შეენახა.

გრიგოლმა თითქმის მთელი რაიონის სოფლები მოიარა: იდუმალის, ძველის, ჭობარეთის, ოშორის, ხიზამბავრის, ასპინძის, სადაც წლების განმავლობაში სკოლის დირექტორად მუშაობდა. მრავალი თაობა აღზარდა და ადამიანობას აზიარა. მრავალი მისი გამოზრდილი, ისევ მის სკოლას უბრუნდებოდა. პედაგოგიკის მეცნიერებას ნაზიარები ნამოწაფარი **ვლადიმერ აბულაძე** შემდეგ ამ სკოლის დირექტორად დაინიშნა.

ზამთარი დადგა. დიდი თოვლი მოვიდა. გზები გადაიკეტა და მამა იძულებული გახდა ხიზაბავრიდან ასპინძაში – შინ ფეხით ჩამოსულიყო. მუხლებამდე თოვლს მოარღვევდა. გზად თავისი მოსწავლე, შალვა აედევნა:

- მასწავლებელო, მე წინ გაგიძღვებით, - დაიწყო გზის გაკვალვა.

- ცოდო ხარ, შვილო, - შეეცოდა დირექტორს, - არ გაცივდე, მეც მანერვიულებ და მშობლებსაცო.

არ დაანება შალვამ თავი. მთავარ გზამდე ასე წვალებ-წვალებით ჩამოიყვანა. საბარგო მანქანაში მძღოლის გვერდით დასვა და უკან გაბრუნებულს მოესმა:

- შვილო, ნიშნებს მე კი არა, ცხოვრება წერს!

1964 წლის სასწავლო წელი მთავრდებოდა. ეზოში ძახილი გაისმა:

„ გრიშა მასწავლებელი სახლშია? – იკითხა ახალგაზრდამ.

- მობრძანდით! – უთხრა დედამ და სამზარეულოში შევიდა.

მამამ დაინახა თუ არა: - მოდი, შვილო, რა გაგჭირვებია? – სკამი შესთავაზა, - ხომ მშვიდობაა ოჯახში.

ახალგაზრდას შერცხვა, მადლობა გადაუხადა. ეტყობოდა, ძალზე ერიდებოდა, მაგრამ თითქოს, შინაგანი სითამამე კარნახობდა,

- სათქმელი მაქვს, გრიშა მასწავლებელო!

- ბრძანე, გისმენ, - უთხრა მამამ და ღიმილით შეხედა...

- თეატრალურზე მინდა ჩავაბარო, ისტორიაში 5-იანი მჭირდება და ძალიან გთხოვთ...

- არ იყო შენი ვიზიტი, შვილო, საჭირო. შენ ცხოვრებამ უკვე დაგიწერა „ხუთიანი“. წარმატებებს გისურვებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

მალე გავიგეთ, რომ **შალვა კელოშვილი** თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო.

- გამოცდაზე რა გკითხეს, შალვაო, - არ ასვენებდნენ ახლობლები.

- აბა, გვიჩვენე, ყმაწვილო, ამ კარებში როგორ გახვალო!

- „გამიძეხით და მეც მოგყვებით“, ვუპასუხე სხარტად და ჩამრიცხეს. – იღიმებოდა შალვა.

1961-1962 სასწავლო წელს გრიგოლ დათიაშვილმა ასპინძის რაიონის პარტიული კომიტეტის და სახალხო განათლების შუამდგომლობით, რომელიც ეყრდნობოდა რა ხალხის, მოსახლეობის მოთხოვნას, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბრძანებით გახსნა „რაიონის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი საშუალო სკოლა“. მოიწვია და ჩამოაყალიბა რაიონის გამოცდილი პედაგოგები და საჭირო განათლებით აღჭურვა ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა, ასევე ასაკოვანი დაწყებით განათლებამიღებული თაობა.

გრიგოლ დათიაშვილი იყო რაიონის სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების წამყვანი სპეციალისტი და წარმომადგენელი რესპუბლიკურ საბჭოში, იყო ნდობით აღჭურვილი პირი. ხელმძღვანელობდა და მონაწილე იყო რაიონულ თუ რესპუბლიკური კონფერენციებისა განათლების ხაზით. იყო რაიონული მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, კაბინეტის გამგე. განათლების განყოფილების გამგის მოადგილე 60-70-იან წლებში. იყო შემოქმედი, აქტიური და ერუდირებული მუშაკი; საგულისხმოა მისი გამონათქვამები:

„არაფერი ისე არ ფასდება დედამიწაზე, როგორც შრომისმოყვარეობა და ცოდნა“.

„დავა შეუთანხმებლობის არსია“.

„გონიერნი ჭამენ, უგუნურნი ხრავენ“.

„სიცოცხლის პროგრამას ზეადამიანები წერენ, მათში ბუნების ძალებია ჩარეული“.

„ყველაფერი შრომის შედეგია, კვლევა კი მისი შედევრია...“

„ადამიანებს თავიანთი შეხედულება არენაზე გამოაქვთ, „ბრძენთ“ კი – გააქვთ და გამოაქვთ“.

„ადამიანად ყველა არ იწოდება“.

„ადამიანი უნდა იყოს სიკეთის განსახიერება“.

„კაცი ვირის თვისებებით ჯიუტი, შეუსმენელია: მე – მე ვარო“.

1964-1965 წლებში გრიგოლ დათიაშვილმა რესპუბლიკის საგანმანათლებლო კონფერენციაზე წარადგინა სამეცნიერო შრომა: „სკოლა და ოჯახი“, რომელიც ცალკე ბროშურად გამოიცა.

იგი ხელმძღვანელობდა საგამოფენო დელეგაციებს რესპუბლიკურ თუ საკავშირო მასშტაბის კულტურულ ღონისძიებებზე.

რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დააფასა ამაგდარი მასწავლებლის მოღვაწეობა და დამსახურებულად აღიარა სახალხო მასწავლებლად. დაჯილდოებულია: „**სახალხო მასწავლებლის“** წოდებით (სიგელით) და სამკერდე ნიშნით.

სიცოცხლის ბოლო წლებამდე მუშაობდა გრიგოლ დათიაშვილი სკოლაში. სკოლისა და ბავშვების გარეშე მას არ შეეძლო ცხოვრება. დასნეულებული (დიაბეტი, განგრენა) საწოლიდან წამოდგა, ყურადღება აღარ მიაქცია მისთვის დაწესებულ სამედიცინო თუ საოჯახო კონტროლს, გაიპარა სახლიდან და სკოლისკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა.

მთელმა რაიონმა მძიმედ განიცადა მისი გარდაცვალება, ყველასათვის, უპირველსად ოჯახისა და მოსწავლეებისათვის დიდი ტრაგედია აღმოჩნდა.

ღვაწლმოსილი დიდი პედაგოგი ამ სამზეოდან წავიდა 1995 წლის 2 იანვარს. მრავალრიცხოვან პედაგოგთა მიერ მიძღვნილ ნეკროლოგში ნათქვამი იყო: „იგი ძეგლია, ნამდვილი სიმბოლოა მასწავლებლისო“...

დაკრძალულია დაბა ასპინძის სასაფლაოზე. დიდი პატივისა და ხსოვნის ღირსია, როგორც ბრძენი აღმზრდელი, ერუდირებული მასავლებებლი, მზრუნველი მამა და პაპა, ერთგული მეუღლე, რომლებმაც ოთხი დიდი ოჯახი აღმოაცენეს თავიანთი წიაღიდან ოთხი შვილის სახით. რაც მთავარია, დიდი სიყვარული დატოვა სახლში და ლეგენდარული მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა. დიახ, ასეთ პედაგოგებზე წერდა ერთი პოეტი: „მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლით ერი!“

**მზიური აფციაური**

---

**ცოტა წავიპოლიტიკოსოთ - ზოგჯერ მაინც გავიცინოთ!**

## ხუმრობდა ოსი

**გულიანად** ხარხარებდა ერთი ბრძენი,
პარლამენტის წევრი და კარგი პოლიტიკოსი:
პროფესიები შევქმენით მთელი მსოფლიოსი,
ნუ იცინით ჩემს ნათქვამზე, ნუ ხართ ცინიკოსი.

არა გჯერათ? ჩამოგითვლით: აი, ქიმიკოსი,
აი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი,
კიდევ ისტორიკოსი და კიდევ ბარბაროსი,
გინდა ლირიკოსი, გინდ პროზაიკოსი,

გნებავთ კომიკოსი და აკადემიკოსი.
მთავარი კი სულ გამომრჩა: ანალიტიკოსი!
დავეთანხმოთ, სხვა რა გზაა,
მართალს ამბობს ოსი.

## ქამელეონი

**რომ** გჭირდება ამას ამბობ: ყველა ვიცანიო,
თუ არადა, არავიცი მეგის ვინ არიო,
არც ვანიჩკა დამინახავს, რავიც ვინ არიო.
აღარც გიგი, გიგა, ნიკა ეგ ვიღა არიო.

## მეგრულის მცოდნეთათვის

**მეგრელს** ოსი ქმარი ჰყავს და მიიღეს პარტიაში.
ცოლი კი ეკითხება: „შენს პარტიას რა ჰქვია?“
„რა ქვია, შენი წირიმე და „ადამონ ნიხასი“,
„უი, უი, ვაგმაგონა, ვიშო, დითხორი დიხასი!“

## გამოხატვა ცალმხრივად?

**მემუქრები** სანქციებით, შერიგების მაგივრად.
როგორ ფიქრობ, შენ ამისთვის არაფერი მაგივა?
მამცირებ და რომ მაგინებ გამოხატვის უფლებით,
ხომ ღირსი ხარ, მაგრად ჩაგცხო, გამოხატვის უფლებით.

## სტრატეგიული პარტნიორი

**პარტნიორობის** ახსნასა არ ვაკადრებ ბრძენს და ჭკვიანს,
არმცოდნისთვის იგი ნიშნავს სრულ თანასწორუფლებიანს,
ვითომ გვშველის პარტნიორი? ვერ გავავლეთ ვერსად ხნული,
დღე და ღამე კი გვაყვედრის: ხომ გასესხეთ ბლომად ფული?
აღშფოთება, შეშფოთება, და შედეგი შეგვრჩა ნული.

## მცირე საყვედური „ალტ+ინფოს“

**მამული** რომ მართლა გიყვართ, აშკარაა ნამდვილი,
ამის საქმით დამტკიცება არც ისეა ადვილი.
ამისთვის რომ ბევრსა იბრძვით, ესეც არის ნამდვილი,
თუმცა, ამის მისაღწევად ჯერ შორია მანძილი.
თქვენს ეთერში ყველაფერი მინდა იყოს ქართული,
მაყურებლის წინაშე კი იყოთ წელგამართული.
რომ პატრიოტული მუხტი უფრო გავაძლიეროთ,
ქართული სიმღერები უფრო ხშირად ვიმღეროთ.
ფალიაშვილის ჰანგები ხშირად უნდა ისმოდეს,
შეიტანეთ პროგრამაში ფილმი, დადგმა ქართული,
უფრო მეტი, უფრო მეტი ნაღდი პატრიოტული.
ესე მცირე საყვედური ყველა არხსა ეხება,
ყველას, პატრიოტულთან ოდნავ თუ აქვს შეხება.

**მოსე მწერალი**

პოეტი მაღალ საფეხურზე - ლეილა ვადაჭკორია

# ახალი წიგნის მოლოდინში



**ყოველი** წიგნის გამოსვლას შვილის დაბადების განცდა ახლავს — სიხარულისა და ეჭვისა: როგორ მიიღებს მას მკითხველი? ამ მოლოდინშია პოპულარული საბავშვო პოეტი **ლეილა ვადაჭკორია**. მისი წიგნი **„ციდან მოფრენილი ვარსკვლავები“**, მაღალი საფეხურია საბავშვო პოეზიაში. ამას ვამბობ ყოველგვარი პათეტიკის გარეშე. ერთი ასეთი იშვიათი მეტაფორული ხატმეტყველებაც იკმარებს ამის დასტურად: აი, გაზაფხულის მოახლოების ჭვრეტა და განცდა: „მერცხლის გუნდი მოფრინდა, მოფრენილა წეროც და ყინულს ფეხი დაუცდა სახურავის წვეროდან“

ეს ყველაფერი იცის მკითხველმა, მაგრამ მან არ იცის, რომ ლეილა ვადაჭკორია არც სადიდო პოეზიაში ჩამოუვარდება ვინმეს.

სწორედ ასეთი კრებულის მოლოდინში ვართ. წიგნის სახელს ვერ გაგიმხელთ. ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო. არ მინდა ასე გამომივიდეს და ენას კბილებს ვაჭერ. აი, რამდენიმე ლექსი მომავალი წიგნიდან. ხილი იხილეთ და მებაღე მერე იკითხეთ.

**ბორის მიშველაძე**

## ფერშეუცვლელი

**მზემ** გაანათა არემარე
სხივთა კვეთებით,
ფოთლებზე ისევ ციმციმებენ
წვიმის წვეთები,
პურის ყანაში გოგმანობენ
მწყრები, ქედნები,
ასე მგონია, არასოდეს
არ დავბერდები.

ოცნებას ფრთები დაუბერტყავს
გულუხვად ჩემზე,
ჰოდა, დავფრინავ აღმა-დაღმა
მიუვალ გზებზეც,
ხან ევერესტის მწვერვალზე ვარ,
ხან ივრის ველზე,
ხანდახან მთელი დედამიწა
დამისვამს ხელზე.

გულში სულ ჩემი სამშობლო მყავს
ფერშეუცვლელი,
ვერ გადავშალე უიმისოდ
ერთი ფურცელი.

## იკმარე ცოდვა

**მე** ამ პატარა მიწის შვილი ვარ,
უფლის განგებით გადარჩენილი,
გულს რატომ მაცლი, მკერდში რომ
ფეთქავს
მერიდიანებს გადაწვდენილი.

რად გეცოტავა უსაზღვრო სივრცე,
ან დედამიწა ასე რად ბორგავს,
აკმარე ჯვარცმულს სისხლი და ცრემლი,
იკმარე ცოდვა, ადამის მოდგმავ!

დიდი ხანია გაორებული
ნდობა-არ ნდობის საკითხს ვუნდები,
საით დაჰბერე მშვიდობის ზენავ,
მაჯებზე რატომ მადევს ხუნდები.

ისევ შემიპყრობს ეიფორია,
ვიღაცა საცდურს დაუშვებს მაღლით
და მიკვირს, მთვარეს, ასე უმანკოს,
გაავებული რად უყეფს ძაღლი.

ნუთუ მშვიდობა ასე ძნელია,
ვინ ჩაურაზა სიმშვიდეს კარი,
დანაღმულ მინდორს მივწვდი ლელიანს
და მერე ცისკენ გამექცა თვალი.

## სინათლის სვეტი

**ისე** მწყურია ლალი ღიმილი,
ბაგეს გიკოცნი ატმის ყვავილო,
მზეო, შენს სხივებს თხილის გულივით
დაუმადლებლად, ვიცი, გამიყოფ.

წყაროვ, დაგყვები შვეული გზებით
მონატრებული შენს ხმას ანკარას,
დამღალა მღვრიე კაკაფონიამ,
აღარ დავუგებ ჩიტებს კაკანათს.

იმაღლე სულში სინათლის სვეტო,
წინ მედო წიგნი გადასაშლელი,
ღვიოდეს გულში სიწრფელე ერთობ,
აღარ მეჭიროს ხელში საშლელი.

## ერის ფიცი

**შიშს** არ ვნებდები, ბოროტებას
ვებრძვი და ვებრძვი,
მოყვასი მიყვარს, ვკაფო უნდა
ლაქაში, ძეძვი,
ვკრეფ პაწაწინა სიხარულებს
ოცნებაც ვიცი,
მოვა მესია და ქვეყანას
ჭირისგან ვიხსნით.

მიუალერსებს მტირალ ტირიფს
ნიავი რიწის,
დაჭრილ ბედაურს მოუშუშებს
ჭრილობას კვიცი.
ვიცი, ოცნება ამიხდება
ნამდვილად ვიცი,
ერის ფიცი და საუფლოდან
„ამინ“ რომ ისმის.

## ცის კიდობანი

**დადგა** ზამთარი, იმატა ღამემ,
ფიქრების ზვავმა წამლეკოს ლამის,
ის, რაც ზაფხიულში ვლამბე ოცნებით,
დავაგვირისტე ზამთარში ღამით.

ზამთარი კიდევ უფრო მძაფრდება
ცხელი ზაფხულის ფოლიანტები,
ვალაგებ სკივრსა და თითო პინწკალს
ვახვევ ფიფქების კორიანტელში.

ფერადი ძაფით ავუშვებ მაღლა,
ავუშვებ მაღლა, საფრენად ცაში,
ვერ შეეხება მსახვრალის ხელი
დაბინავებულს ცის კაბადონში.

## მაინც იცოცხლებს

**საოცარია** სამყარო ვრცელი,
ანდამატივით გიზიდავს იგი,
როცა სარკმლიდან მთვარე გიცინის,
ცად ვარსკვლავები გიხმობს ციმციმით.

ან ალიონის ფერმკრთალი სხივი
გადაიშლება ნაირფერებად,
რა ვქნა, თუ გრძნობებს ველარ ვერევი
და იგი ლექსად დამეწერება.

თუ ოცნებები ვერაფრით დავთმე,
თუ სიყვარულით გულია სავსე,
თუკი სიცოცხლე ასე მწყურია,
მაშინ, ძვირფასო, ლექსებსაც დავწერ.

იქნებ წამტაცოს უტიფარ ქარმა,
იქნება ლექსი დაფაროს ქვიშამ,
მაინც იცოცხლებს, იცოცხლებს რადგან,
ის სიყვარულის ქარცეცხლში იშვა.

158-ე ბაგა-ბაღი

# წარმატებული აღმზრდელობითი დაწესებულება



**ბავშვის** პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა, სკოლამდელი განათლების სისტემის უპირველესი ამოცანაა. მოწესრიგებულ ფიზიკურ გარემოზე და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალ დონეზე თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო თავდაუზოგავად ზრუნავს. დედაქალაქის **158-ე** ბაგა-ბაღი (დირექტორი **გიული გორგოძე**), რომელიც საბურთალოს რაიონში ყაზბეგის გამზირზე ორსართულიან არატიპიურ შენობაში ფუნქციონირებს, ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია.



მეთოდოლოგია, რომელსაც ახალი სტანდარტი გვთავაზობს, ბავშვის შესაძლებლობასა და ინტერესებზეა მორგებული. ბაღის მაღალკვალიფიციური კოლექტივი, **გიული გორგოძის** ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის, რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე **ნინო ხვედელიანს,** ჯანდაცვისა და ჰიგიენის კოორდინატორ **ლამზირა ლოლაძეს,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ლალი ზენაიშვილსა და** საქმის მწარმოებელ **ნათია კვიტაიშვილს.**

აღსაზრდელთა მრავალმხრივ და სრულფასოვან განვითარებაზე, მოტორული, ემოციური, მეტყველებითი და შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნავს მულტიდისციპლინარული ჯგუფი – საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნათელა ჭიღლაძე**, სპეც. პედაგოგი **ლია კუტიბაშვილი,** ფსიქოლოგი **ირინე გულედანი** და ლოგოპედები: **ნატო ლაბაური, ლია მინაშვილი;**

ბაღის 4 საალმზრდელო ჯგუფში 160 აღსაზრდელია. აღმზრდელები – **ქეთევან ნინიძე, სოფო ჭაფოძე, ნინო შენგელია, მზექალა ბალანჩივაძე, თეა ვარდოსანიძე, ხათუნა გამყრელიძე** – ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მუშაობენ თემატურ მიმართულებებზე, განვითარების სფეროებზე, როგორიცაა სენსომოტორული სფერო, ჯანმრთელობა, შემეცნება, კომუნიკაციური და ენობრივი უნარები, დამოუკიდებლობა და ადაპტაცია. სასკოლო მზაობის ჯგუფში ყოველდღიურად ტარდება პროგრამით გათვალ-



ისწინებული აქტივობები, რომლებიც თითოეულ პატარას ეხმარება მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები.

პატარების მოვლა-პატრონობაში დიდი წვლილი შეაქვთ აღმზრდელის თანაშემწეებს: **დარეჯან მერებაშვილს, ხათუნა დამენიას,**



**თამთა გველესიანს, ნატო ყიფშიძეს, მანანა ბაჩიაშვილს, თამარ ჯოხაძეს, ლელა ბიწაძეს, ანა ზურაბიშვილს.** უსაფრთხო, დაცული და მოწესრიგებული გარემო კი ტექნიკური პერსონალის შრომის შედეგია.

ბაგა-ბაღში ყოველდღიური აქტივობების, პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ და მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ლალი ბოლქვაძე და ია ლორთქიფანიძე**

ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო აქტივობებია გარემოსდაცვითი სახელმძღვანელოდან ამოღებული თემატური მიმართულებები: **ბიომრავალფეროვნება, წყალი და ენერგოდამზოგველობა, ნარჩენების მართვა** და **სეპარაცია.** პრიორიტეტული კი **დედამიწის დღეა,** რომელიც ტრადიციულად, ყოველ წელს, ლამაზი ღონისძიებით აღინიშნება. აღმზრდელები პატარებთან ერთად ასუფთავებენ ეზო-გარემოს, ამუშავებენ ნიადაგს ყვავილნარისთვის, რგავენ ხე-მცენარეებს, სხლავენ ბუჩქნარს. აღსაზრდელები ადრეული ასაკიდანვე სწავლობენ ბუნების სიყვარულს, მზრუნველობას ცოცხალ არსებებზე, ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების მოვლა-პატრონობას. აქტიურად მონაწილეობენ დედამიწის დღესთან დაკავშირებულ ყოველწლიურ კონკურსში და მიღებული აქვთ **მწვანე ჯილდო**. წლის ბოლომდე, კიდევ არაერთი ღონისძიება იგეგმება, სტანდარტით გათვალისწინებული თემების გასაცნობად.

**ნათია გუგუნავა**



ქება ვთქვათ სამოცდამეშვიდესი

# ბევრჯერ ვსტუმრობდი ამ სკოლას - წლითწლამდე უკეთესია



**პათეტიკურად** უნდა დავიწყო შესავალი. ილიას პერეფრაზით: ვერ ერჩის, თურმე, ამ სკოლას ვერც სიცხე, ვერცა - ზამთარი, ვერცა ბედისა ტრიალი, ვერც კოვიდ-ვირუს აფთარი. სკოლაში ფრთაშესხმულია ერთი ბრძენკაცის ფორმულა: კადრები წყვეტენ ყველაფერსო. აქ დირექტორიც ძლიერია და პედაგოგებიც, მით უფრო მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელად **ნანა ყორყოლიანი** მოევლინა.

გამოცდილი, ერუდირებული ქალბატონი 216-ე სკოლიდან გადმოვიდა. მალე დაატყო საქმეს კეთილისმყოფელი ხელწერა. მყისვე მხარში ამოუდგნენ გამოცდილი მოადგილე იზა ზარანდია და ძლიერი კოლექტივი.

ამ წერილის წერისას უნებურად გამახსენდა ერთი პოეტის იუმორისტულად ნათქვამი: „თუ არა გაქვს მართვის ნიჭი, ვეღარავინ ვერ გიშველის, ვერც მერკელი, ვერც ჰერცელი, ვერც მიხო და ვეც მიშელი”. **ნანა ყორყოლიანს** „მიხო და მიშელი” არა დასჭირვებია, რადგანაც 216-ე სკოლიდან გამოჰყვა მართვის ნიჭი და მდიდარი გამოცდილება. მეხუთე წელია უნარიანად უძღვება საქმეს.

დიდი ქართველი მწერალი, მიხეილ ჯავახიშვილი ხშირად იმეორებდა: მოთხრობის მარჯვე დასაწყისი ნახევარ გამარჯვებას უდრისო. ასეა ყველა საქმეში.

რედაქციამ სკოლიდან მეტად საჭირო ინფორმაცია მიიღო. დიდი მადლობა მის შემდგენელს. გთავაზობთ მას მცირე კომენტარებ-კორექტურების თანხლებით. ასე რომ, სტატია დაიწერა ერთობლივი თანამშრომლობით.

* * *

თბილისის N67 საჯარო სკოლა ტრადიციულად მომზადებული შეხვდა 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებას, სკოლის დირექციამ და მასწავლებლებმა შექმნეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. აღიმართა სახელმწიფო დროშა და გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი.



სკოლის თითოეული თანამშრომელი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა სასწავლო წლის დაწყებას. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში სწავლება განახლდა სრულიად პირისპირ სწავლების მეთოდით, სკოლა დაუბრუნდა ჩვეულ სასკოლო ცხოვრების რიტმს, ბუნებრივ რეჟიმს.

კოვიდპანდემიისა და ჰიბრიდული სწავლების ფონზე სკოლამ გასული სასწავლო წელი



წარმატებით დაამთავრა. სკოლას ჰყავდა 5 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი. რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში გაიხსნა 2 პირველი კლასი: (მასწ. **თამარ ცინცაძე, ზეინაბ არაბული**). სკოლის სამმა მასწავლებელმა: **ირინე გოჩიტაშვილმა**, **გიორგი სახელაშვილმა, თეა ივანელაშვილმა** წარმატებით ჩააბარეს სტატუსის ასამაღლებელი (წამყვანი) გამოცდები და აგრძელებენ პროფესიული წინსვლის პროგრამას.

სკოლაში შექმნილია კლუბები: **დებატკლუბი, ეკოკლუბი, შეხვედრები მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად.** სკოლის წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი რგოლია მოსწავლეთა თვითმმართველობა. არჩევნები ჩატარდა 2022-2023 სასწავლო წელს და მოსწავლეთა მიერ არჩეული იქნა ახალი თავმჯდომარე.

სკოლაში სწავლობს 30 სსსმ მოსწავლე. სპეციალურმა მასწავლებლებმა საგნის მასწავლებელთა ჩართულობით შეიმუშავეს ახალი ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რათა მოსწავლეებთან მუშაობა წარმატებული და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული იყოს.

სსიპ ქალაქ თბილისის N67 საჯარო სკოლა წარმატებით წარმართავს სასწავლო პროცესს, ეს არის დასაწყისი დიდი შემოქმედებითი მუშაობისა, სწავლისა და წარმატების, სკოლის დირექციის, თითოეული მასწავლებლისა და თანამშრომლისა ასე დაუღალავად,რომ ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ამ სქემატური ინფორმაციიდანაც კარგად ჩანს, რა



დიდი შრომა, მასწავლებელთა, დირექციის შემოქმედება იხარჯება სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად. სათქმელის მეტი რა აქვთ, მაგრამ თავის ქება არ ჩვევიათ. საქმის კეთება ურჩევნიათ ყველაფერს.

ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სასკოლო შემოდგომა ივნისშია. მე როგორც რედაქტორი, დარწმუნებული ვარ, მიზანს მიაღწევენ და ბევრ წიწილას დაითვლიან.

**იზა ზარანდია, ბორის მიშველაძე**

**რედაქტორის მინაწერი:** დიდი მადლობა 67-ე სკოლის დირექტორს **ნანა ყორყოლიანს**, მოადგილე **იზა ზარანდიას** ას წელს მიღწეულ მასწავლებელთა გაზეთ „სახალხო განათლების” მხარში დგომისათვის, დახმარებისათვის, თანამშრომლობისათვის!



66-ე ბაგა-ბაღში პატარებს მიუხარიათ

# აღმზრდელობითი პროცესი სანიმუშოა...



**თბილისის 66-ე** ბაგა-ბაღი ძველ უბანში, ავლაბარში მდებარეობს და იგი პატარებისთვის ერთ-ერთი საყვარელი დაწესებულებაა. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგან აქ ყველაფერი მოწესრიგებულია და საბავშვო დაწესებულება აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ბაგა-ბაღში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგი. ზედმიწევნით დაცულია როგორც ჰიგიენის, ასევე უსაფრთხოების წესები. დირექტორის **ეკა აღნიაშვილის** ძალისხმევითა და ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. სარემონტო სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდა, განახლდა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, სათამაშოები, სამზარეულოს ტექნიკა და ა.შ.

**ეკა აღნიაშვილი**: როგორც ყოველთვის, სასწავლო წელს კარგად მომზადებული შევხვდით. სააღმზრდელო პროცესი 15 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ ბაღის პერსონალმა მუშაობა 20 აგვისტოს განვაახლეთ, შესაბამისად მოსამზადებელი პერიოდი იყო ნაყოფიერი. სააგენტოს დახ-









მარებით და **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით, შენობა ეტაპობრივად გარემონტდა და მოწესრიგდა. აღსაზრდელებისთვის ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები. წარმატებით ხორციელდება ,,სასკოლო მზაობის” პროგრამა. ბაღში სამი გამოსაშვები ჯგუფია. გაუმჯობესებულია **,,ინკლუზიური”** მიდგომებიც. თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან



დაკისრებულ მოვალეობას და აღსაზრდელებს მზრუნველობას არ აკლებენ.

განსაკუთრებულ შექებას იმსახურებენ: დირექტორის მოადგილეები - **ლია წამალაშვილი** და **ეთერ აბაშიძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ანი გრიშაშვილი**, მნე **ნინო პეტრიაშვილი**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – **სოფიო ზაქარიაძე** და **ქეთევან დალაქიშვილი,** საქმისმწარმოებელი **მარინა ქოქოსაძე**, ფსიქოლოგი **ემა გეგელაშვილი**, ლოგოპედი **ეთერ გაბრიჭიძე** და სპეციალური პედაგოგი **მარინე ბეჟიაშვილი**. დირექტორი კმაყოფილია აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების საქმიანობით, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ პატარებს.

პანდემიის შემდეგ, 66-ე ბაგა-ბაღში განახლდა სეზონური ზეიმებიც. ოქტომბერში გაიმართა საშემოდგომო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები – ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **კახა ლაბუჩიძე,** გამგებელი **ნიკოლოზ ელისაშვილი** და გამგეობის სხვა წარმომადგენლები.

**ანანო სამელია**



ეძიებდე და ჰპოვებდე

# ილიასეული თერგი გამახსენდა





ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: **„მოღვაწეობა - საზოგადო, საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, მუშაობა მოქმედება”.** ქვეყნისთვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუძს ნებისმიერ ადგილზე იმუშაოს, ოღონდ, საამისო ნება ჰქონდეს და თითო აგური მიიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე.

მოღვაწეობა, მოღვაწე ფართო და ტევადი ცნებებია. ყველა იმას მოიცავს, ვინც ალალად ასრულებდა და ასრულებს ღვთით დაკისრებულს და ოდითგანვე ასე რომ ყოფილიყო, ეგებ, აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, აღარც დემეტრეს თავდადებულობა, აღარც გიორგის ბრწყინვალეობა და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

ოღონდ ეგაა, რაოდენ უხვადაც დააბერტყა უფალმა კალთა თვისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავადებულა, ეს წყალობა ქვეყნის, ხალხისთვის მოეხმარა სახარებისეული უსასყიდლოდ მოგეცათ და უსასყიდლოდ გასცემდეთოს შესატყვისად.

საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის” კოლექტივს, ვისაც სისტემის ღვაწლმოსილი, გამოცდილი მუშაკი, ქალბატონი **ნონა ღუდუშაური** უდგას სათავეში და ვისი ხელმძღვანელობითაც მიაღწია ამ სასწავლო დაწესებულებამ მართლაც თვალსაჩინო წარმატებებს, გასიგრძეგანებული აქვს დიდი მისია - სამშობლოსთვის კვალიფიციური კადრების აღზრდა - და სწორედ თითო აგური მიაქვს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ამ წერილში მოხმობილი ფაქტებიც ურყევად ადასტურებს.

**სსიპ-კოლეჯი** „მერმისი” პროფესიული განათლების სისტემაში ერთ-ერთი საუკეთესო პროვაიდერი და ხარისხიანი განათლების მიღების გარანტია. რისი მრავალი დასტურიც წერილში თანდათან გამოიკვეთება. თუმცა, ამის რამდენიმე „ცინცხალ” დასტურზე ახლავე ვთქვათ: 2021 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული ,,მერმისის” პროფესიული განათლების მასწავლებელი **ივანე ჩუტკერაშვილი** გახდა. და ეს პირველი კი არა, არამედ უკვე დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებაა. კერძოდ, 2018 წელს კოლეჯი წლის საუკეთესო კოლეჯად დასახელდა, 2019 წელს კატეგორია ,,წლის პროფესიული განათლების სტუდენტში” გაიმარჯვა.

კოლეჯში სწავლა 5 მიმართულებით (ხელოვნება – ჰუმანიტარული მეცნიერებები; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; მომსახურებები) ამ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიმდინარეობს: **თექის დამზადება; სავალი ნაწილის შეკეთება; ელექტროობა; თმის მომსახურება; იატაკისა და ფილის სამუშაოები; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი; მომინანქრება; მხატვრული ქსოვა; სამკერვალო წარმოება; ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; ძრავის შეკეთება; ხის მხატვრული დამუშავება; ვებტექნოლოგიები; ვებტექნოლგიები (ინტეგრირებული); ბუღალტრული აღრიცხვა;**



**საოფისე საქმე; კულინარიის ხელოვნება; კულინარიის ხელოვნება (დუალური); კონდიტერია; სასტუმრო მომსახურება; სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული); სარესტორნო მომსახურება; სარესტორნო მომსახურება (ინტეგრირებული); გრაფიკული დიზაინის შესრულება; გრაფიკული დიზაინის შესრულება (ინტეგრირებული).**

გრძელვადიან სადიპლომო პროგრამასა და მომზადება-გადამზადების – პროფესიულ და მოკლევადიან პროგრამებზე წლის მანძილზე კოლეჯში 1600 სტუდენტი/მსმენელი სწავლობს.

ყოველწლიურად იზრდება სწავლის მსურველთა რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც კოლეჯის წარმატებულობის მტკიცე დასტურია.

დავაკონკრეტოთ: წლეულს 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (მათგან 3 პროგრამაზე, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები რომაა ინტეგრირებული) 566 ვაკანტურ ადგილზე 2469 აპლიკანტი დარეგისტრირდა, მათგან – 151 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი. საკვალიფიკაციო პროგრამებზე 509 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა; 60 (მ.შ. 3 სსსმ პირი) – ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (გრაფიკული დიზაინის შესრულება, სასტუმრო მომსახურება და სარესტორნო მომსახურება). 2022 წლის მიღების ფარგლებში 39 სსსმ პირი ჩაირიცხა.

2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესის შესაბამისად განხორციელდა, რომლის თანახმადაც, პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა ჩარიცხვა საბაზო და საშუალო პროგრამებზე დაწესებულების მიერ ორგანიზებული შერჩევის წესით წარიმართა (მოტივაციური გასაუბრება/შემოქმედებითი ტური). შესარჩევ კომისიაში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იყვნენ, ხოლო უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, აპლიკანტთა შეფასება განხორციელდა სსიპ — შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

2012 წლიდან კოლეჯი დაამთავრა 7000-მა პროფესიულმა სტუდენტმა. მათი 85 % წარმატებით დასაქმდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი **450-ზე მეტ კომპანიასთან** აქვს გაფორმებული, რაც კოლეჯის წარმატების, მოთხოვნადობის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია. კოლეჯსა და დამსაქმებელს შორის მტკიცე პარტნიორული ურთიერთობის შედეგად, გაიზარდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი.

კოლეჯის რეაბილიტაცია 2012 წელს განხორციელდა, მოგვიანებით კი კოლეჯი უნივერსალური დიზაინის შესაბამისად გაიმართა (ნორვეგიული სტანდარტი, რაც შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად კოლეჯის სრულ ადაპტირებას გულისხმობს). კერძოდ, მოწყობილია: ლიფტი, პანდუსი, ადაპტური სველი წერტილი, სენსორული ბილიკები, მოაჯირები, კიბეებისა და მოაჯირების მარკირება, ზონების კონტრასტული გამოყოფა, სახელურები, კარები და სხვა. ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ჩართულია სსსმ და შშმ პირების პროფესიული განათლებისა და მომსახურების პროცესში.

კოლეჯს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები. ფუნქციონირებს ფაბლაბი. ის სტუდენტებს სხვადასხვა იდეის პროტოტიპირებისა და ბიზნესგეგმების რეალობად ქცევის შესაძლებლობას აძლევს. საკვალიფიკაციო პროგრამების გარდა, კოლეჯი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს ახორციელებს, შემდეგი მიმართულებებით: ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; წარმოება და მშენებლობა; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; მომსახურებები. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ამოქმედებიდან ისინი 250 მსმენელმა გაიარა, მათგან სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთან” ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, პროფესიული გადამზადების პროგრამის - „ელექტრო უსაფრთხოება და ელექტროტექნიკის საფუძვლები” - ფარგლებში ,,ენერგო-პრო ჯორჯიას” 15 მუშაკი გადამზადდა.

მოსახლეობის მომზადება-გადამზადებისა და შემდგომ დასასაქმებლად ,,მერმისი” 2017 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ქ. თბილისის მერიასთან პროექტის ,,ისწავლე და დასაქმდი” ფარგლებში, რომლის მიზანი თბილისში უმუშევრობის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მათი დასაქმების ხელშეწყობაა. პროექტის ფარგ-



ლებში ,,მერმისმა” 15 მოკლევადიან პროგრამაზე სამუშაოს მაძიებელი 1500 პირი გადაამზადა. მათი 80 % წარმატებით დასაქმდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. ასე ენდობიან კოლეჯს, რაც მისი წარმატებულობის მომდევნო მტკიცე დასტურია.

სკოლის ასაკიდანვე მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზების, მათი მოტივაციის გაზრდისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, კოლეჯი 2017 წლიდან ახორციელებს პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსებს თბილისის საჯარო სკოლებში. პროექტით ისარგებლა 600-მდე სკოლის მოსწავლემ და მიიღო ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ კოლეჯის „მერმისი” მაგალითზე. ასე თადარიგიანად იმზადებს კოლეჯი შევსებას.

კოლეჯი, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიულ განვითარებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. რისი დასტურიც მათი დასაქმების ესოდენ მაღალი მაჩვენებელია.

კოლეჯის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორები არიან, საერთაშორისო ორგანიზაციები: **ესტონეთის ქ. ტალინის სამშენებლო სკოლა, ლატვიის ქ. შაულაის სასწავლო ცენტრი და გერმანიის სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტი.**

ადგილობრივი პარტნიორები: **თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ნაძალევის რაიონის გამგეობა, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სამსახური, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, უნივერსიტეტები (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის, შავი ზღვის, ევროპის, ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები და სხვა), თბილისის საჯარო სკოლები.**

ადგილობრივი კომპანიები: **შპს „რადისონ ბლუ ივერია”, სს „ჰიუნდაი ავტო ჯორჯია”, შპს ,,ელსელემა”, შპს ,,ელ თი ბი”, შპს ,,მეგობრობა, შპს ,,ელიტა ჯგუფი”, შპს ,,პრემიერა ტმ”, შპს „თეგეტა მოტორსი”, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა”შპს ავთანდილ ცქვიტინიძე”, კომპანია ,,აჭარა გრუპ”, სასტუმრო ,,ფაბრიკა”, სს „ნიკორა ტრეიდი”, ფუნიკულიორი, შპს „მარშე, შპს „მარიოტი”, შპს „ნატახტარი”, შპს „ჰოთელს პრეფერენს ჰუალინგი”, შპს ,,რედისონი”** და სხვა.

P. S. ლათინური ანდაზის მიხედვით, გამეორება ცოდნის დედაა. მაგრამ, როგორი – გამეორება? თუ ერთ ადგილს ტკეპნი და წინსვლა არა და არაა, ასეთ გამეორებას რა სიკეთე უნდა ახლდეს?

ჩვენი გაზეთი რამდენჯერმე წერდა კოლეჯ „მერმისზე” და ყოველ ჯერზე აშკარა იყო სიახლეები, კოლექტივის მაძიებლობა და შემოქმედებითი შრომა. ძალაუნებურად გახსენდება ილიასეული თერგი. მოძრაობა და მოძრაობაა, ჩემო თერგო, სიცოცხლისათვის ძალისა და აზრის მიმცემიო.

ეს სწორედ **„მერმისზე”** ითქმის.





**კონსტანტინე გურგენიძე**

196-ე ბაგა-ბაღი

# ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის მხარდამხარ







**სამგორის** რაიონში, ვარკეთილში **196-ე** ბაგა-ბაღი 40 წელზე მეტია ფუნქციონირებს და ერთ-ერთი გამორჩეულია ამ ხნის მანძილზე შექმნილი და მოწესრიგებული იერ-სახითა და იდეალური გარემოთი. 2019 წლის 15 აგვისტოდან ბაღს **ლია დემურჩევი** ხელმძღვანელობს.





იგი პროფესიით ექიმია, კარგად იცის, როგორ შეუქმნას ბავშვებს სასიამოვნო, მყუდრო და დაცული გარემო, რომ აქ გატარებული წლები ტკბილ მოგონებებად დარჩეთ. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსვლა ამ ბაღში,





პანდემიით გამოწვეული სირთულეების პერიოდს დაემთხვა, სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა, მუშაობის საკუთარი სტილი და მეთოდი მალევე შესამჩნევი გახდა. ეტაპობრივად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განახლება, გამოიცვალა ავეჯი, დაინერგა საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა, ჰასპის სტანდარტი, რომლითაც მხოლოდ მაღალი ხარისხის მეცხოველეობის, რძისა თუ სხვა პროდუქტებია გამოყენებული.

დირექტორის საიმედო დასაყრდენია მისი მოადგილე **შორენა ჯავახიძე.** თვალშისაცემია მისი პასუხისმგებლობა, ყოველდღიური ყურადღება და კონტროლი სისუფთავის, კვების პროცესისა და ჯგუფების შემოწმებისას. ბაღი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით. დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენური წესების დაცვას, ბავშვების ჯანმრთელობა საიმედო ექთნების – **ლალი დიასამიძის, ნინო ჭომქაძისა და სოფო მამადაშვილის** ხელშია.

სკოლამდელი აღზრდის სფეროში არსებულ სახელმწიფო სტანდარტებზე დაყრდნობით, ასაკობრივი ჯგუფის შესაბამის სხვადასხვა აქტივობებს და თემატიკას მოიცავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც წარმატებით ახორციელებს **მულტიდისციპლინარული ჯგუფი**. ხელმძღვანელები საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – **ნანა ქაშიბაძე და მარიამ ყაზარაშვილი.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე აღსაზრდელებთან ინდივიდუალურ მუშაობაში ჩართულები არიან სპეც. პედაგოგები – **თათია ლევდაშვილი, თამილა საჯაია, თეონა მამასახლისი, ზეინაბ გელაშვილი, ანა ჯანგირაშვილი**, ფსიქოლოგები – **მაკა ნეფარიძე, ეკა სუდაძე,** მეტყველების თერაპევტები – **თინათინ მაისურაძე, ნათია ტყეშელაშვილი.**

უკან დარჩა პანდემია, შეზღუდვები და რეგულაციები, ასაკობრივ სააღმზრდელო პროექტებში ჩართულები არიან **2-3** წლიანთა ჯგუფები: **„ვარსკვლავები“** – აღმზრდელები: **ლ. მღებრიშვილი, ნ. ჩაკვეტაძე** და აღმზრდელის თანაშემწე **ი. ობგაიძე; „ფუტკრები“** – აღმზრდელები: **ს. ბოჭორიშვილი, მ. აკოფაშვილი** და აღმზრდელის თანაშემწე **ლ. კაიშაური; „ჩიორები“** – აღმზრდელი **თ. მანველიძე,** აღმზრდელის თანაშემწე **მ. ჭედია; „თოლია“ –** აღმზრდელი **ი. გველესიანი,** თანაშემწე **ი. კონიაშვილი;**

საგანმანათლებლო პროცესის წამყვანი ბავშვია. სიტუაციის შესაბამისი აქტივობები და ღონისძიებები ტარდება **3-4** წლიანთა ჯგუფებში: **„ცეროდენები“** – აღმზრდელები: **ი. ყიფიანი, ი. ხარძიანი** და აღმზრდელის თანაშემწე **ს. ტოგონიძე**; ასისტენტი **ე. ღვთისიაშვილი; „ყაყაჩო“ –** აღმზრდელები: **შ. ივანიშვილი, მ. მაღლაქველიძე** და თანაშემწე **ლ. ლომუაშვილი; „პეპლები“** – აღმზრდელები: **ნ. ტატუნაშვილი, თ. ბერიძე** და თანაშემწეები: **თ. წილოსანი, თ მეფარიშვილი;** ასისტენტი **თ. თოფურია; „წითელქუდა“** – აღმზრდელი **მ. აბრამიშვილი**, თანაშემწე **დ. ხურცილავა; „მტრედები“** –აღმზრდელები **ა. ბენაშვილი, ე. კაპანაძე** და თანაშემწე **ე. მინდიკაური;**

ფიზიკური გარემო ბავშვებისთვის საინტერესოდ უნდა იყოს მოწყობილი. მრავალფეროვან შემოქმედებით აქტივობებში წარმატებით მონაწილეობენ აღსაზრდელები **4-5** წლიანთა ჯგუფებში: **„ია“** – აღმზრდელი **ლ. ტორაძე**, აღმზრდელის თანაშემწე **თ. თვალავაძე,** ასისტენტები: **თ. ლონდარიძე, რ. კვარაცხელია; „ბემბი“** – აღმზრდელი **ე. პაჭკორია**, თანაშემწე **ს. ბახსოლიანი; „ჟოზე“** – აღმზრდელები: **ნ. ხაინდრავა, ე. ცანავა** და თანაშემწე **ა. ხოტივრიშვილი; „ქიამაია“** – აღმზრდელები: **ჟ. ხანთაძე, ს. კობერიძე** და თანაშემწეები: **ქ. ანდღულაძე, ნ. ტორიაშვილი**, ასისტენტი **ი. კუპრაშვილი; „გვირილა“** – აღმზრდელები: **ნ. დოლიძე, თ. თვალავაძე** და თანაშემწე **ი. გასპარიანი;**

მზაობის ჯგუფების აღსაზრდელთა წინასასკოლო მომზადება ადაპტირებული სააღმზრდელო პროგრამის საშუალებით ხდება. დაახლოებით 200 აღსაზრდელი ემზადება სკოლაში წასასვლელად **5-6** წლიანთა ჯგუფებში: **„მზე“** – აღმზრდელები: **ნ. მუჩიაშვილი, ს. კობრავა** და თანაშემწე **ლ. ნაჭყებია**, ასისტენტი **ნ. პარასკებაშვილი; „მერცხლები“** – აღმზრდელი **ნ. კონსტანტინოვი,** თანაშემწე **ქ. ბიკაშვილი. „ბომბორა“** – აღმზრდელები: **ნ. ამბარდნიშვილი, თ. თედორაძე,** თანაშემწე **ჟ. ნადირაძე; „ანა-ბანა“** – აღმზრდელები **მ. ზერეკიძე, ე. ბეჟაშვილი** და თანაშემწე **ი. საგინაძე**, ასისტენტი **ნ. ლუარსაბიშვილი; „გედები“** – აღმზრდელი **ი. მახოევა**, თანაშემწე **ე. ხაჩატურიანი; „ცისარტყელა“** – აღმზრდელები: **ს. ხურცილავა, ვ.ზურაბიანი** და თანაშემწეები: **თ. ბადრიძე, ს. კუპატაძე.**

ყველა ასაკობრივ ჯგუფში მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ნინო ბიკაშვილი, მანანა ტაბატაძე, ნინო კობალავა, მარიამ ხუფუნია, თამარ ლაბაძე** – დამსახურებით, ძალიან მხიარული აქტივობები ტარდება და აქ მუდამ ღიმილი და სიხარულია. ასევე მხიარულად, ხალისიანად, მორთული დერეფნებითა და ჯგუფებით შეეგებნენ პატარებს ახალი სასწავლო წლის დაწყების დღესაც და ეს ის ადგილია, სადაც პატარებს მიუხარიათ.

ბაგა-ბაღი ნერგავს ახალ საგანმანათლებლო სტანდარტს, რაც გულისხმობს თითოეული აღსაზრდელის ჰოლისტურ განვითარებას. აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, აქ სულ შემოქმედებითი პროცესია, დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი, არის მეგობრული ატმოსფერო და დიდია მშობელთა ჩართულობაც. აქ ყველაფერია პატარების ლამაზი ბავშვობისათვის.





**ნათია გურგენიძე**

# მაღალ შედეგებზე ორიენტირებული ბაგა-ბაღი



**აღსაზრდელებისთვის**, ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, როცა ასეთ საოცარ გარემოში იზრდებიან. აქ ხომ მათთვის ფანტასტიკური სივრცეა შექმნილი და შეიძლება ითქვას, ცივ ნიავსაც არ აკარებენ. ამიტომაც მშობლებიც მშვიდად არიან და ბაღის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ბაგა-ბაღის წარმატებებსა და განხორციელებულ პროექტებზე გვესაუბრება თავად დირექტორი **მერი ჭარელიშვილი**, შესანიშნავი მენეჯერი და პიროვნება, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სკოლამდელი აღზრდის სისტემაში.

**მერი ჭარელიშვილი**: ბედნიერებაა, როცა მომავალი თაობის აღზრდას ვემსახურები, ჩემს მრავალრიცხოვან გუნდთან ერთად. ბავშვებს ყურადღებას არ ვაკლებთ და ხშირად ვიღებთ სამადლობელ ბარათებს. აი ერთ-ერთი მათგანი: ,,115-ე საბავშვო ბაგა - ბაღი პატარებისათვის ის ზღაპრული სამყაროა, სადაც ყოველი დილა ჯადოსნურად, ტკბილად და თბილად იწყება. ბავშვებს ბაღში მისვლა რომ უხარიათ და საიმედო ხელში არიან, მშობლებიც უსაზღვროდ ბედნიერები ვართ''- ეს ამონარიდი მშობელთა კომენტარების წიგნში ინახება, ასეთი ბარათი კი უამრავია. ადამიანს, როცა საკუთარი საქმე უყვარს და შრომისმოყვარეა, მაშინ წარმატებაც გარანტირებულია. მიყვარს ბავშვები და მათთან გატარებული ყოველი დღე სასწაულია. პანდემიის შემდეგ, წელს მოგვეცა საშუალება ყოველგვარი რეგულაციების გარეშე ვიკონტაქტოთ აღსაზრდელებთან, რაც ძალიან გვახარებს. სამი წელიწადი მოკლებული ვიყავით შენობაში, მშობლებთან პირისპირ საუბრებს, შეხვედრებს და კომუნიკაციას. არადა, მშობელთა ჩართულობა ბაგა-ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. რეგულაციები მოიხსნა, მაგრამ სანიტარულ-ჰიგიენური წესები მაქსიმალურად დაცულია. უდიდესი ყურადღება ექცევა ბაგა-ბაღის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას. შენობის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, განახლდა და შეიღება ატრაქციონები, ბორდიურები, მებაღემ კი, ყვავილებით გაგვილამაზა ეზო-გარემო. სამზარეულოში შევიძინეთ ევროსტანდარტის ხარისხის სხვადასხვა ტექნიკა და საჭირო ატრიბუტი, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური წესები. ბაგა-ბაღის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დირექტორმა, მოადგილემ, სამედიცინო პერსონალმა და მზარეულებმა გავიარეთ ,,ჰასპი''-ს პროგრამა და ტრენინგები. აქედან გამომდინარე, ბაგა-ბაღში დაინერგა ,,ჰასპი'', რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკაში განვახორციელოთ, მსოფლიო სტანდარტებით დაწესებული მოთხოვნები და ბავშვებს მივაწოდოთ ჯანსაღი პროდუქცია.







დირექტორის დიდი ძალისხმევით და ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით, საბავშვო დაწესებულება ყოველწლიურად მშვენდება და ლამაზდება. პატარებისთვის შესანიშნავი მყუდრო გარემოა შექმნილი. სარემონტო სამუშაოების გარდა, ბაგა-ბაღი აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით, თემატური ლიტერატურით და სათამაშოებით. ქალბატონი მერი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღსაზრდელებს კომფორტული გარემო შეუქმნას. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ფასდაუდებელია მისი ღვაწლი სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. 115-ე ბაგა-ბაღის დაარსების ისტორიაც ამ შესანიშნავი ქალბატონის სახელს



უკავშირდება. მრავალი თაობის აღმზრდელს კარგიც ბევრი უნახავს და უსამართლო გულისწყრომაც უგემია... თუმცა, ბავშვების სიყვარულმა და მადლიერი აღმზრდელების გულითადმა დამოკიდებულებამ ყველა სიძნელე გადაატანინა და კვლავინდებურად შემართებით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას. მადლიერი აღზრდილები კი, დიდი სიყვარულით იხსენებენ ბაღში გატარებულ წლებს.

115-ე ბაგა-ბაღი ბავშვებისთვის კომფორტულიც არის და უსაფრთხოც. აქ ზედმიწევნით იცავენ ბავშვთა უფლებებსა თუ საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს. დირექტორს, ყველა მნიშვნელოვან საკითხში მხარში უდგას მისი მოადგილე **ქეთევან ბუჩაშვილი**, რომელიც თავისი საქმის კარგი მცოდნეა. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები: **ნინო ხოსიტაშვილი**, **თეონა ტატულიშვილი** და **მაკა გვიჩიანი.** სწორედ ქალბატონი ნინოს ხელმძღვანელობით, მულტიდისციპლინარულ ჯგუფთან ერთად, შესანიშნავად მიმდინარეობს საალმზრდელო პროცესი, არის ბევრი სიახლე და სწავლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. ბაღში სულ 17 ჯგუფი და 626 აღსაზრდელია, ხოლო სასკოლო მზაობას 220 ბავშვი ეუფლება. პროფესიონალი აღმზრდელების თავდაუზოგავი შრომის შედეგია ის, რომ მრავალმხრივად განვითარებულ პატარებს ზრდიან, პირველ რიგში კი, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიან.

ბაგა-ბაღში, ტრადიციულად ტარდება სხვადასხვა აქტივობები, ღია მეცადინეობები და შემოქმედებითი ღონისძიებები. ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინალური ჯგუფი - ფსიქოლოგები: **ლია ხიდეშელი** და **ნინო გურჩიანი**, ლოგოპედები: **ეკატერინე შიხიაშვილი** და **თათია კანთელაშვილი**, სპეც. პედაგოგები: **ლია გარსევანიშვილი, აზა გაზდელიანი, სოფიო სიყმაშვილი, თინათინ მინდიაშვილი** - ბაგა-ბაღში მყოფ გ.ს.მ. და შ.შ.მ. ბავშვებისათვის ქმნიან მათზე მორგებულ გეგმებს, შექმნილია მშვენიერი გარემო, რათა შეძლონ აღსაზრდელების ჩართულობა ასაკობრივ განმავითარებელ აქტივობებში. ასევე, განსაკუთრებულ საჭიროების მქონე აღსაზრდელებს ჰყავთ სპეციალური ასისტენტები, რათა დაეხმარონ საალმზრდელო პროცესის ყოველი მომენტის შესრულების დროს. ბაგა-ბაღი წარმატებით ხელმძღვანელობს **„სასწავლო- საალმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღების აქტივობების კრებულით"** და **„სასკოლო მზაობის"** პროგრამით. ყოველი თემისა თუ აქტივობის დასრულების შემდეგ, აქტიურად ეწყობა გაფართოებული მეცადინეობები, **„სასკოლო მზაობის"** ჯგუფები კი, მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე, სწავლობენ ურთიერთპატივისცემას, ხდებიან მკვლევარები, არიან ურთიერთის დამხმარეები, შემფასებელნიც კი, რაც მომავალში დაეხმარებათ საზოგადოებაში უკეთ ადაპტაციაში.

საბავშვო ბაღში, პატარების ჯანმრთელობის კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს. თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად უძღვებიან სან.ჰიგიენის კოორდინატორები: **დოდო კვირაია**, **ნათელა მთვარაშვილი** და **სოფიკო ხევიაშილი**. დიდ შექებას იმსახურებენ საქმისმწარმოებლები: **მანია კედელაშვილი** და **ლალი მაღლაფერიძე**. აღსანიშნავია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ეკატერინე ნოზაძის** და მისი დამხმარე **მაია**



**ლაშხის** მუშაობა.

დირექტორი დადებითად აფასებს და ამაყობს ბაგა-ბაღის თითოეული თანამშრომლის საქმიანობით. იგი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების თავდადებულ შრომას. ესენია: **ხათუნა მირიანაშვილი, ნანი ყიფშიძე, მაია მშვენიერიძე, სოფიო ბურძენიძე, თამილა ლომჯარია, ლია ბობოხიძე, ნონა ბეგოიძე, მარინე შანიძე, ბელა გალუსტოვა, ეკატერინე შიხიაშვილი, თამარ ღალანიძე, იზა პავლიაშვილი, მაია გამეზარდაშვილი, ირინა ჩიხლაძე, ირმა სიორდია, ნაირა ეჯიბაძე, ლიანა გურულიშილი, ლამარა ქუფარაშვილი, მაგული ტაბატაძე,თამარ მარხვაშვილი, შორენა მესხიშვილი.** ასევე, აღმზრდელების გვერდით არიან მათი თანაშემწეები, რომლებიც თანაბრად არიან ჩართულნი საალმზრდელო პროცესში. დირექტორი მადლობას უხდის თითოეულ მათგანს საქმის სიყვარულისა და ერთგულებისთვის.

ამ ეტაპზე ბაგა-ბაღს ესაჭიროება კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებისთვის, მათზე მორგებული ავეჯით და სათამაშოებით; ასევე, მინი-ატრაქციონები და სპორტული მოედანი.

როგორც უკვე აღინიშნა, 115-ე ბაგა-ბაღში შემოქმედებ-







გაგრძელება მე-9 გვ.

გამორჩეული და პოპულარული

# მაღალ შედეგებზე ორიენტირებული ბაგა-ბაღი

მერვე გვერდიდან

ითი პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ხელოვან ადამიანებს: ქართული ცეკვის პედაგოგს **კახაბერ ბარბაქაძეს**, მუსიკის ხელმძღვანელებს **თინათინ ბუცხრიკიძეს, ნინო ალენიკოვს** და **სოფიკო ჯავახიშვილს.**

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების კვებას. მათ მაღალკალორიულ საკვებს უმზადებენ მზარეულები: **დოდო ვაჭრიშვილი, მზევინარ მოისწრაფეშვილი, თამილა წითლაური** და **ხათუნა დათაშვილი**. ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია კმაყოფილია ტექნოლოგიური პერსონალის თავდაუზოგავი შრომით. ბაგა-ბაღს ხარისხიანი პროდუქტით ამარაგებს ,,**ეკოლუქსი**''.

**მერი ჭარელიშვილი:** 115-ე საბავშვო ბაგა-ბაღი სანიმუშოა უსაფრთხოების თვალსაზრისით და აღსაზრდელებისადმი განსაკუთრებული ფაქიზი დამოკიდებულებით. წელს ჩვენს ბაღში ხუთი გამოსაშვები ჯგუფია. საამაყო მომავალი თაობა გვყავს და მომავალში კარგ ქვეყანასაც ააშენებენ. ჩვენ თითოეულში ვაღვივებთ იმ მარცვალს, რასაც ჰქვია ხალხის, ქვეყნის და საქმის სიყვარული. ძალიან ემოციურია ის სამადლობელი ბარათები, რომელიც მშობელთა კომენტარების წიგნში ინახება. აი, ამონარიდი ერთ-ერთი მშობლის წერილიდან: ,,პირველ რიგში, ამ ქვეყნის მოქალაქემ და დედამ მინდა გამოვხატო უდიდესი მადლიერება, 115-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ქალბატონ **მერი ჭარელიშვილის** მიმართ, რომელმაც თვითოეული აღსაზრდელის მიმართ გამოიჩინა გულისხმიერება, შეუქმნა მათ სასიამოვნო, თბილი, მზრუნველი გარემო. თუმცა, მესმის ასეთი ჰარმონია არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო საქმისადმი ერთგული მაღალკვალიფიციური პედკოლექტივი. აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, ტექნიკური პერსონალი, რომლებმაც კარგად იციან როგორ მოეპყრონ ბავშვებს, რა სურთ მათ, როგორ ჩამოუყალიბონ სათანადო უნარჩვევები, რომელიც სამომავლოდ, დიდ კვალს დატოვებს მათ ცნობიერებაზე'' - ასეთი სამადლობელი ბარათები ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია.



ალსანიშნავია, რომ 115-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში, გამოფენებში, კონცერტებში; ბავშვები თავიანთი შემოქმედებით, ცეკვით თუ სიმღერით გამოდიან საბავშვო გასართობ პარკებში, ბავშვთა დაცვის ღონისძიებებზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და ა.შ. ბაღში აღინიშნება ყველა ღირსშესანიშნავი თარიღი: „დედამიწის"', ,,დედაენის'', ,,დედის დღე'', ,,ტელევიზიის დღე'', „აუტიზმის ცნობადობის დღე'', ,,მზის შვილების დღე'' ,,წიგნის ხმამაღლა კითხვის დღე'' და სხვა.



- პატარების კეთილდღეობისთვის თავს არ ვზოგავთ და მაინც მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით, რა ჩამოთვლის იმ საჭიროებებს და აუცილებლობას, რაც გასაკეთებელია ჩვენს ბაგა-ბაღში - ამბობს ქალბატონი მერი, რომლის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი მისი აღსაზრდელებია. ამიტომაც უყვართ პატარებს, მშობლებს და თანამშრომლებს. იგი არის გამორჩეული პიროვნება, რომელიც შემკობილია სანიმუშო თვისებებით და საქმისადმი უანგარო სიყვარულით. არის შესანიშნავი დედა და უსაყვარლესი ბებია. სამწუხაროდ, ცხოვრების მეგზურის დაკარგვის შედეგად გამოწვეული ტკივილი ჯერ არ განელებია, მაგრამ ჩვეული შემართებით აგრძელებს დაკისრებულ მოვალეობას. აგერ უკვე სამი ათეული წელია, რაც ბაგა-ბაღს სათავეში უდგას და წარმატებით ხელმძღვანელობს.



ჩვენი გაზეთის საშუალებით, 115-ე ბაგა-ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, დიდ მადლობას უცხადებს ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს **კახაბერ გვანცელაძეს,** თბილისის მერს **კახა კალაძეს,** სამგორის რაიონის გამგებელს **კახა სამხარაძეს,** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს **კუკური როჭიკაშვილს**, საკრებულოს წევრს **რეზი სოხაძეს** თანამშრომლობისა და თანადგომისთვის.

**მზია გოგოძე**

ლიტერატურული გვერდი - პოეზია



## გელა გეგუჩაძე

* * *

**მზემ** სხივები აიკრიფა,
ეს დღეც წარსულს ჩაბარდა,
ფანჯარასთან ოქროსფერმა
მთვარემ მოიკალათა.

მერე თითქოს ხილვა იყო,
ზაფრა თუ მთვარეული,
ჩემს საწოლთან შემოფრინდა
ჟინი გადარეული...

თუ მომინდა მოტაცება
შენი კაბის კალთისა,
ან ბეჭებზე შემომეგდო
ოქროს ლუმბო მთვარისა...

თეთრი რაში მომელანდა,
ძილი უფრო გამიკრთო,
როგორ უცებ ჩაიმარცვლა
ჩვენი ცხელი აგვისტო.

ალბათ მონატრება იყო
ღამეული სანათა,
შენ მაგიერ ფანჯარასთან
მთვარემ მოიკალათა.

* * *

**ჩემს** მკერდში ქვას ვერ იპოვი,
მზეს კი - რამდენიც გინდა;
გახსოვს ის სიტყვა, პირველი,
გულიდან ამოფრინდა.

ვერ ვუპატრონე პირველქმნილს,
სადღაც გამექცა, შორეთს,
ნუ დაუძრახავთ ამ გრძნობას,
სულ სხვა გული აქვს პოეტს.

მზეში მზეს ეძებს ყოველთვის,
მთვარესთან კიდევ - მთვარეს,
დღესავით ეფოფინება,
ელაციცება ღამეს...

ჰოდა, მის გულში ჩახედვა
თუკი მოგინდეს ოდეს,
უთბილესი და ნათელი
მკერდში მზე უნდა გქონდეს.

* * *

**თვალწინ** ქრება წინაპართა
ნასისხლარი , ნაოფლარი ...
ო , რამდენი გაჩენილა
ნაფუძარი, ნასოფლარი...

ცას გახედე , ცის ტატნობზე
აკიდულა მთა და ბარი,
იქ ,მწვერვალზე სახლი ჩანდა,
ახლა მოჩანს ნასახლარი.

ენგურს გაღმა ტკივილია
და გამოღმა - ჩივილი,
მკერდმოჭრილი საქართველო
ჩამომდნარა ცვილივით...

ახლა მოდით, ლიახვს ავყვეთ,
ვნახოთ ნაალაფარი,
ჩვენი ძველი ბაღები და
დანგრეული სახლ-კარი...

ჩუმად, არვის გაახსენოთ
სამცხე-საათაბაგო,
ვიდრე დროა, ქართველებო,
მოდით, ციხე ავაგოთ!

ღმერთო, იხსენ საქართველო -
მთვარისა და მზის აკვანი,
მადლიანი დედა მიწის
ბრილიანტის ყელსაბამი.

ჩემი პაპის ოფლისა და
სისხლის მწარე ნიაღვარი
არა, არსად დამანახოთ
ნაფუძარი, ნასოფლარი!

* * *

**სარკმელთან** ელავს მაისის ღამე,
წვიმის წვეთები აწყდება სარკმელს,
ლექსი ღამიდან გაახელს თვალებს,
ეს სტრიქონები თუ გეტყვის რამეს.

მაისის წვიმას შესძახებს ჩხართვი
და მთელი ღამე გალობს და გალობს.
საკუთარ თავთან ძნელია მარცხი,
თუ სიყვარულში ბედი არ გწყალობს.

ყურს ვუგდებ ჩხართვის საამო ძახილს,
ისიც ხომ თავის საყვარელს უხმობს,
მე კი ცრემლებით შევავსებ სასმისს,
უჩვეულოს და ყველასთვის უცხოს.

თუ იყო, ალბათ, ღმერთისაც ნება,
ხელში მაქვს თასი, ცრემლით ავსილი,
როგორც წარსულის ჩამქრალი ვნება,
ჩემგან მიიღე ეს შესაწირი.

### ანანოს და თათიას

**ლოცვას** წაგიკითხავთ, ელესა მელესას,
ავი თვალისა და ავი გულისა,
თვალში ნაცარი და ეშმაკი ღელესა,
ცეცხლი და ლადარი ბოროტი სულისა...

ცხრა მთას აქეთა და ცხრა ზღვას იქეთა
ავსული, ეშმაკი, ქაჯი და ჭინკები,
ჯვარი გეწეროთ, გზა გადაიკეტა,
ღმერთო მწყალობელო, სულ ჩვენთან იქნები.

თვალი გაახილე, თითქოს წალეკილა,
სულ წყალს წაუღია ჭინკა და ავსული
თქვენთან რა უნდა უხორცო ეშმაკებს,
შორს თქვენგან ყოველი ქაჯი და მაცდური.

ელესა მელესა, ეშმაკი ღელესა,
გულში ლადარი და თვალში ნაცარი...

ფუძის ანგელოზთა აკვნები ნენესა ,
ფუი, ეშმაკებს და სუსხი და ზამთარი,

ღმერთო, დაიფარე შენი წყალობითა,
ჯვარი გადასახე , როგორც ავგაროზი,
სული დაუმშვიდე ღვთიურ გალობითა,
შორს ავი, ეშმაკი, ქაჯი და ტარტაროზი!

* * *

**მზე** ჩადგომია პალმების რიგებს,
ცაზე ანთია ოქროს ბორჯღალი,
ემცხუნვარება მოლისფერ ჩითებს...
გალობა ისმის გასაოცარი.

ზღვა უხმოდ ღელავს, ვნებადამცხრალი,
გემი ბლავილით აშურებს ნაპირს,
და შენ მორთულხარ, ვით პატარძალი,
ფარშევანგს ჰგავხარ, მარაოგაშლილს...

შორიდან მესმის თითქოს ძახილი,
გარდასულ დღეთა მახსოვს წამება,
მოდი და ერთხელ დამკარ მახვილი,
მაჩუქე ჩემი გარდაცვალება.

იქნებ მზე ჩაქრეს ცის კაბადონზე,
იქნება ვიგრძნო სულის ამბორი;
უკვე გალეწეს ვნება კალოზე,
უკვე ჩამირთეს ბოლო წამზომი...

გადაფრენილა წუხელის წერო,
გაფრინდებიან მოლაღურებიც...
მე ამ სამოთხეს გიტოვებ, ჩემო,
სხვა სამოთხისკენ მივეშურები.

* * *

დაისის სხივებს გაჰყოლიან ჩვენი მტრედები,
მეწამულ ფერებს ირეკლავდა როცა ტალღები,
მე დავინახე შორს გაწვდილი შენი ხელები,
ზღვის სილურჯეში ჩაძირული ფიანდაზებით...

და იყო თითქოს შეღამების ჩუმი სიმღერა,
ეფემერაში გახვეული ლურჯი გედები,
ცა ტყვიისფერი ღრუბლებით რომ გადაისერა,
დაისის სხივებს მიჰყვებოდნენ ჩვენი მტრედები.

# პრობლემას ხედავს ყოველთვის მოყმე, მოყვარე, მოყვრობა, ხალხს კი სატკივარს უწყვეტავს წალმა მავალი მთავრობა

**რუსთაველის** დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შემდეგ, მალევე აზრად მომივიდა შოთასთვის მიმეძღვნა 800-სტრიქონიანი პოემა. განხორციელება რომ ვერ შევძელი, 14 წლისამ 800 ძირი ვაზის რქით გავაშენე ვენახი.

მოგვიანებით კი საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე დიმიტრი ბარამაშვილისგან ვიყიდე ზუსტად 800 კვ. მ მიწა, და იქ ახლებურად გავაშენე რუსთაველის სახელობის ვენახი, მისი იუბილე ჩემებურად ასე აღვნიშნე მეურნეობის გამოყოფილ "კოსტაფის" ფართობზეც, სადაც მივიღე მრავალი თვალსაჩინო სტუმარი, მათ შორის პრემიერ-მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

**ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც ავალაპარაკე.**

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია,
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია,
აყვავება და მზეობა ვაზისაც დედაარსია.

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გავხადოთ განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სიკეთე, აღორძინებას ველიო,
ვაზი ვარ, მაგრამ მეცა ვარ კაცის ჭირისა მშველიო.

რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემიდგი გვერდში სარიო,
შემოვეხვევი შვილივით, ველარ გადამტეხს ქარიო,
გამიფხვიერეთ ფესვები, ავაღორძინო ზვარიო,
რომ სიამაყით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო,
მტერსა ვძლიო უდიერსა, არ შეგვეყაროს შარიო.

850 წლის რუსთაველს კი ვუფეშქაშე 50 (ერგასი) წლის მანძილზე საგარეჯოში, თბილისში, სოხუმში, ჩიტაში (ჯარში), მოსკოვში, კიევში, ლვოვში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, თელავში, თელ-ავივში, ანკარაში, ლონდონში, ოქსფორდში და სხვა ქალაქებში დაწერილი ფრაზები, ჯამში 850 სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი" და „წუთისოფლის წიგნი" („ბიბლუსის" მაღაზიებში), რისთვისაც მომენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია.

სახელოვანი მამულიშვილის პრემიამ ისე გამათამამა, რომ პოემიდან ამოვიღე ნაწილი სტრიქონებისა, რომლებსაც გთავაზობთ, და თუ დამეთანხმებით, დაე, სამშობლოს კუთხეები დამშვენდეს წინამდებარე შაირებითაც, **იმ მიზნით, რომ თუნდაც მცირეოდენი წვლილი შეიტანოს მომავალი თაობის სულიერად ამაღლებასა და ეროვნული იდეების განხორციელებაში**:

ერთგულება და ერთობა, ვფიქრობ, დღეს საკვირველია,
რადგან ამქვეყნად მრავალი სიკეთის დამკარგველია,
საუბედუროდ ასეა, საუკუნეთგან ძველია,
ეს დალოცვილი ქვეყანა ხომ ჩვენი მოსართველია,
საამურია სამშობლო, სადაც თოვლშიაც რთველია.

გულს მიხარებს არემარე, მაღლა - ღმერთი საკვირველი,
დიდგორი და ოქროს ხანა, წინაპარი - უძლეველი,
კარგი ნაღდი მეგობარი, ეკლესია ძველისძველი,
ეშხსა მმატებს შაირები უშრეტელი, უშურველი.
ნიჭი, გონის საძირკველი - წარმატების საფუძველი!

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი,
ღირსეულად მოიხადოს ყველა კაცმა თავის ვალი,
საკადრისად ფასდებოდეს მარჯვენა და მოსავალი,
რომ ფრიადზე განვითარდეს საქართველოს მომავალი,
გამორჩეული მიზნებით აღვზარდოთ შთამომავალი.

მოსურნე ვარ კვლავაც კარგის: ერსა ჭირი მოჰკლებოდეს,
მტრობა, შური და ქიშპობა ზღვის ქაფივით გაქრებოდეს
ერთგულება, სიყვარული მატულობდეს, მყარდებოდეს,
საქართველო გულსახარად ქართველებით მრავლდებოდეს,
წავახალისოთ მოსწავლე სამაგალითოს ყვებოდეს.

სიახლეები ლხინია, რაც არასოდეს მწყინდება,•
სახალხოდ ვამხელ სალხინოს, სტრიქონებითაც მშვენდება,
წალმა რითმების წყობისთვის დღე ჩინებულად თენდება,
სამშობლო წარმატებული წარმატებებით შენდება,
სიმართლე ხშირად ამქვეყნად უსამართლობით დგინდება.

სიდუხჭირე მოგვშორდება, არ დავრჩებით უპოვარი,
ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი -
ისე ვთესოთ სიყვარული, ვით თესავდა მაცხოვარი,
რომ ჩვენთანაც აღარ იყოს დიდ-პატარა მათხოვარი,
ჰე, თავო, მიჯობს გაწვალო, ჰპოვო რამ მონაპოვარი.

გზას დავადექ დავით-გარეჯს, რომ ვეწვიე საგარეჯოს,
კარიბჭესთან წავიკითხე - კაცი ქველად გაისარჯოს,
არასოდეს არვინ არსად ბოროტება არა ხარჯოს,
აჯა, მაჯა, ჯაფა, გარჯა გამარჯვებით დაიხარჯოს,
რო მადლიან ამ მიწაზე ბედკრულ კაცმაც გაიმარჯვოს!

შოთას შაირის ცნებითა გრძელ ღამეც მოკლედ თენდება,
მისი მკითხველი ნათლდება, აფორიზმებით მშვენდება,
ქართველი კაცის გონება რადგან ყოველდღე ბრწყინდება,
გავიმეოროთ გმირობა, ერს რომ არაკად აჩნდება,
ოქროს ხანისა შენება კვლავაც რო დაგვირგვინდება.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები, ბოროტება ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი განეწმინდოს და სიავე დაუსრულდეს,
ქველსა სევდა შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კარგი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს,
ჩავეკონები სტრიქონებს, არსი მისი რო ასრულდეს.

ვაჰ, რა კომლები იცლება, ესაა უბედურობა,
ამის მიზეზი ერთია - მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა ვერ ვმალავ, ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
პრობლემას ხედავს ყოველთვის მოყმე, მოყვარე, მოყვრობა,
ხალხს კი სატკივარს უწყვეტავს წალმა მავალი მთავრობა.

ანდერძადა ვწერ წადილსა, მოწმედა ზეცის თვალია,
ჩვენი ქმედება საჩინო სათვალსაჩინო კვალია,
შორეულ შთამომავლისთვის ნატიფად გასაკვალია,
ნატერფალი კი კაცური კაცებისათვის ვალია,
წუთისოფელი წუთია, წუთიც წინ მომავალია.

ვაზის პატარა ქვეყნისთვის დღეს საარაკო ძველია,
თუმცა არაკი ქართველებს შეეფერება გრძელია,
წინაპრებისა ამაგი საოცარ-საკვირველია,
ჟამია ვნატრობ მეკვლესა, ჰა, მეკვლეც რუსთაველია,
შოთასთვის შვლისა მწვადები წალამზე შესაწველია.

უპირველესო პოეტო, გულს ფიქრი არა ჩერდება,
ჩემგან მოძღვნილი შაირი საჩუქარს შეეფარდება,
მჯერა, პოემა დარჩება, ტკბილადაც დამიბერდება,
გაუათასდეს ბარაქა, ვინაც სიკეთით ირჯება,
კაია მუდამ ქმედება, აზრსა რაც შეეფარდება.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი დავტოვოთ გამარჯვებული,
ძე და ასული ორთავე ბევრებად გამრავლებული,
ბაღ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული,
თვალწინ სოხუმში, ცხინვალში ლტოლვილი დაბრუნებული,
ნატიფად ხიდი, სახლ-კარი სასახლედ აშენებული.

ცრემლით მიამბო მოხუცმა: ფეიქარ ვარო მქსოველი,
მარჯვენას მიქებს მრავალი, თითქმის ამ ქვეყნად ყოველი,
მტანჯეს, მაწამეს, მაგრამა ვერა გამხადეს ცხოველი,
დარჩენილ ორ პარასკევში დარდსა რო კვლავაც მოველი.
დაკნინდეს წამებისათვის კაცი სისხლისა მწოველი.

გაცრუვდეს ხალხში ზე ფრაზა საზარი გადასავალი,
კაი კი დღესვე გველირსოს ჭირიდან გამოსავალი,
ვაშად შევძახოთ, ბრუნდება მოვლენა გარდაუვალი,
ოქროს ხანისა მაგვარი აღმა სვლა აღმა მავალი.
სიცოცხლეს ვუზღათ ვალები, ჩვენი თავგადასავალი.

ლექსად თქმულ ნატვრის ახდენას იმედით დაველოდები,
არ დავიშუროთ ძალ-ღონე, გადავიყაროთ დარდები,
დავგმოთ აბეზარ აზრები - აროდეს არვის ვბარდები,
ახალგაზრდობას ვუბოძოთ გზად გადაშლილი ვარდები,
გავანუგეშებ ხვაშიადს, მკვდარიც არ გავდაგვარდები.

მას ბერმუხად ვადღეგრძელებ, ვინც ქვეყნის ღერძს ისე აწრთობს,
სალტეს უხსნის ტანჯულ გულსა და პირისპირ წყლულსა აქრობს,
დარდს დაფარულს ღიადა მტრობს, გვამხნევებს და სულით
გვაწრთობს,
ერისკაცად ვერ ივარგებს, ვინც ჭირის ხსნას ვერა გვარობს.
სვეკეთილად საქებია კარგის წინსვლით ვინაც ხარობს.

ვაზის რქები ჩახლართული ჩხებად ავჭერ კაზმულ ხანსა,
ქორწილის ჟამს შვილს ვუბოძე, მემკვიდრეს იმედიანსა,
ვემხიარულე მოყვრებსა, ყოველსა ენაწყლიანსა,
ღმერთმა შეგვასწროს სამშობლოს აყვავებულს და სვიანსა,
შევხარი ამინდს მზიანსა, არ მოგაყენებთ ზიანსა.

ტკბილ მამულის სულს უსმინე, სუნთქვა მისი თავად ნახე,
წინაპრების ნაღვაწარი წალმა სწორად დაინახე,
ნაფეხური ოქროდ ფასობს, შვილიშვილებს შეუნახე,
გაგვამხნევე, გაგვახარე და შემხიდედ დაგვენახე
საქართველოს განდიდება ახდენილი დაგვანახე!

ის სადღეგრძელო რად ვარგა, რომ დარჩეს აუწეველი,
ანდა ისეთი ის რთველი, ყურძენი დაუწურველი,
თუ კვლავაც ისევ ვიქნებით დახმარებების მხვეწნელი,
საწუთისოფლო ვალია ვიყოთ ჭაპნისა მწეველი,
ათასის კაცის თუ ვერა, ერთისა იყავ მშველელი.

კაცი ახალსა იძახდეს, სასიხარულო ხდებოდეს,
მეფე დავითი კვარცხლბეკზე ვარსკვლავმაგვარად დგებოდეს,
ეს არ ესმოდეს ყრუდ ქცეულს, ვერარას ვერა ხვდებოდეს,
იმ მოხელესა რა ვუთხარ, დავითით არა ტკბებოდეს,
სამშობლოს ოქროს გვირგვინი ხალხის ხელებში ხმებოდეს.

ვით ვენახს შვენის ვაზები, ალაჩოყი და თარგები,
შაირებსა კი რითმები, ენაწყლიანი, კარგები,
სოფელსაც ასე უხდება წარმატებული დარგები,
სადც ჩქეფს ტურფად სიცოცხლე, ხვავი, ბარაქა, ნერგები,
მამულის აღზევებისთვის აროდეს დავიკარგები.

გამოგონებით ყამირიც გავხადოთ მოსავლიანი,
ხვალის თაობა უებრო და არამც თვალცრემლიანი,
ყოველი მხარე ქვეყნისა უხვი, სვიანი, მთლიანი,
დაკნინებული სამშობლო - გმირთ სადარ სახელიანი,
დავაშოშმინოთ ლტოლვილი ხნიანი, მრავალწლიანი.

გულგასახარად ვიხაროთ შაირებით და შენებით,
აწ აღგვეწეროს ნატიფად ნაღვაწი ტკბილი ენებით,
პაპის პაპათა მიზნებით, გონებითა და გენებით,
ჩვენებურების ეშხითა, ჩვენ ჩვენი წვლილის ჩვენებით,
შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუშრეტელი მშვენებით.

დაკნინებულია ქვეყანა, რადგან დიდი ნაწილი ოკუპირებულია,

ცრემლიანია საქართველო, რადგან 1,5 მილიონი ადამიანი ცხრა მთას იქითაა გადახვეწილი,

გულდაწყვეტილია საქართველო იმიტომაც, რომ დედაქალაქის მერიამ ვერ გაიმეტა 1000 კვ. მ მიწა, აღმაშენებლისთვის რომ აღიმართოს 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი - იმ დიდი კაცის დაბადების 950 და გარდაცვალების 900 წლისათვის, **ვინც არა მარტო თბილისი, არამედ საქართველო გადაგვარებისგან გადაარჩინა**.

სევდიანია საქართველო, რადგან აგრარულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი ნაწილი უცხოეთიდანაა შემოტანილი...

აღნიშნული უტყუარი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ ერსაც და ბერსაც დიახაც ყოველდღე შევახსენოთ პრობლემების არსი თუნდაც შაირებით **(ვისიც არ უნდა იყოს შაირი)**, იმისთვის, რომ პრინციპული ცვლილებებით ჩამოვიშოროთ მომძლავრებული ტკივილები და გზა გავიკაფოთ ეროვნული მიზნებისაკენ.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მარად ნათობდეს
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
მთავრობა გვინდა ელვარე, ერსა სატკივარს უქრობდეს
ქვეყნის კი მთავარსარდალი იმდაგვარადა სარდლობდეს,
გლეხი, გლახაკი, მოხელე ახალ ხანასა ხარობდეს,
ერის და ბერის ბაგენი ბადაგ ამბებსა ამბობდეს:



**სურათი არის სიმბოლურად წარმოდგენილი**

შევხართ მარჯვენას, მომავალს, ღვინოსა სურნელოვანსა,
დიდგორს, ერწუხს და ბასიანს, ცხრა აპრილს დიდგულოვანსა,
შემწედ აგებულ ტაძრებსა, უფრორე ათასწლოვანსა,
სამშობლოს მამშვენებელსა, ჭირის მძლევს, დიდსულოვანსა,
აწ გაუმარჯოს კაცისას სიცოცხლეს სახელოვანსა!

**მკითხველო, უმორჩილესად გთხოვ, ვისაც შეგიძლიათ, მიაწოდეთ ეს იდეა მერს, პრემიერს, რათა გამოყონ მიწა და ავღმართოთ 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი აღმაშენებლის მოღვაწეობის წლების საფეხურებზე აღნიშვნით. რომელსაც გამოქვეყნებისთანავე მოყვა გამოხმაურებები ერის საამაყო შვილებისგან სათაურით „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის" (მაგალითისთვის იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა" 2014 წლის 5 დეკემბერი).**

**მუხლმოდრეკილი გემუდარებით 58 გამოგონების და 9 წიგნის ავტორი, ღირსებისა და არაერთი ოქროს მედლის მფლობელი, დამსახურებული გამომგონებელი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.**

**გავბედავ მეტსაც - და ქველმოქმედიც, არა იმითი, რომ აღნიშნულ მემორიალს ვწირავ 100 000-ს, არამედ 1986 წელს გამოგონებისთვის მიღებული 20 000 მანეთის ჩერნობილში ჩარიცხვით.**

**თამაზ ქვლივიძე**
ტელ.: 599 10 43 18

# ბიჭი, არწივი და თავისუფლება



ყოჩაღ, არწივო, ვით შეჰბედე ზეცას ფრენა....

თავისთვის ფიქრობდა თავაწეული ბიჭი და კამარა შეკრულ არწივს აკვირდებოდა. არწივი ცაში ისე მიცურავდა, როგორც თევზი წყალში და რაღაც იყო მათში მსგავსი, ერთიანი და მთლიანი.... ნეტა რა? – განაგრძობდა ფიქრს ბიჭი.

ალბათ თავისუფლების უსაზღვროების შეგრძნება, ღმერთთან მიახლოების ერთგვარი სურვილი.... არწივი არად დაგიდევდა ბიჭის ფიქრებს და მზერას. მთელი სილაღით განაგრძობდა ჰაერში ტრიალს, ბზრიალს, ლივლივს....

ბედნიერებით აღვსილი ვეღარ ეტეოდა ზეცაში. თითქოს ისედაც უსაზღვრო სივრცის გარღვევას ლამობდა. ჰაერი დრო და დრო თავისი მკვრივი მასებით თავს ესხმოდა, წინააღმდეგობას უწევდა, მეტი ძალის დახარჯვას აიძულებდა.

სუნთქვა შეკრულს, მოძრაობა უჭირდა, მაგრამ არ ნებდებოდა, უკან არ იხევდა. უფრო შეუპოვრად განაგრძობდა სრბოლას. წინააღმდეგობა ვერ იმორჩილებდა, არ აბნევდა, აღმაფრენას მატებდა. უფრო სწრაფად მანევრირებდა. სწორხაზოვნად დაჭიმავდა სხეულს და გრძელი ამპლიტუდით გვერდით გადაიხრებოდა. ასე გვერდულად კარგახანს მიარღვევდა ჰაერის სიმძიმეს. დიდი ბრძოლის შემდეგ კმაყოფილი ღრუბლებზე ჩამოისვენებდა. თავს აიქნევდა დიდი, ფართო თვალებით კიდევ ერთხელ ამაყად გადმოხედავდა მთებს, ღარტაფებს, ამწვანებულ მდელოებს და თამაშ-თამაშით თავქვე დაეშვებოდა. ერთი ამოსუნთქვით ჩაუქროლებდა ფაფუკ, თეთრ ღრუბლებს, გამჭვირვალე კამარაში ოსტატურად ასხლტებოდა, ჰორიზონტზე დიდ წრეს შემოხაზავდა და ისევ ბიჭის სამზეოზე გამოჩნდებოდა.

ბიჭმა იცოდა რას ფიქრობდა არწივი. იგი მთელი გულით თანაუგრძნობდა და ერთგვარად კიდეც უყვარდა, მაგრამ არწივმა არ იცოდა ეს. ბიჭს ძალიან უნდოდა არწივს მისი სიყვარული შეეგრძნო და მიმხვდარიყო. ყოველ დილით წამოწვებოდა სველ ბალახზე და ცას შესცქეროდა. იმედი ჰქონდა მისი სიყვარული ოდესღაც ააღწევდა მასთან, რადგან ბუნებაში, უკვალოდ ფიქრიც კი არ იკარგებოდა. ბიჭსაც მასავით უნდოდა ფრენა, რომ უსაზღვროებას შეერთებოდა, აღმაფრენა განეცადა.

ფიქრებში კიდეც დაფრინავდა. იგი არწივივით დაჭიმავდა სხეულს და გრაციოზული მოძრაობით მაღლა, მაღლა ისარივით აიჭრებოდა. ხალისით ძვრებოდა ცისარტყელაში და რაღაც დიდ აღტაცებას და ტკივილს განიცდიდა. მერე არწივივით დაედევნებოდა ღრუბლებს და რძისფერ სიბლანტეში შესცურავდა. ლბილი ორთქლი სხეულს უთენთავდა, რომელიც რაღაც უცნაური სურნელით, სიმსუბუქით, სითბოთი ავსებდა და ისეთ გაუცნობიერებელ, უცნაურ სურვილს ბადებდა, ბიჭს ვერაფრით აეხსნა.

კიდევ ერთხელ შეკრა კამარა და ოცნებებში კიდევ ერთხელ გასრიალდა. ფრთებქვეშ გრძნობდა ვარსკვლავებს. სიამემორეული იყურებოდა მთვარის სარკეში, რომელსაც მისი ფრთაგაშლილი, გამჭვირვალე, უმნიშვნელო ანარეკლი ჩრდილად აჩნდა. აღფრთოვანებული ბიჭი სიამოვნებით ითვალიერებდა ფრთებს. ხან მარჯვნივ შეტრიალდა, ხან მარცხნივ. ჯერ ერთს დააცქერდა, მერე მეორეს ისეთი სახით გეგონება მზერით აყურადებსო. ბოლოს ძლიერად შემოჰკრა ფრთები და ისევ მაღლა აიჭრა. სიმაღლე არ აშინებდა მაგრამ ხვდებოდა, თუ ფრენას ასე გააგრძელებდა შეიძლება დედამიწასაც გასცლოდა, მიწა სამუდამოდ დაეკარგა...

ბიჭს ამის გაფიქრებაც კი ჰზარავდა. სივრცესთან შერწყმის შეგრძნება ახალისებდა და სუნთქვაშეკრული ისიც არწივივით სივრცეს დაეკიდა. ბუნება იღვიძებდა......

წითელი-ოქროსფერი აქვარელი უწესრიგოდ ერეოდა ცას. მოლურჯო-იისფერი მოსასხამიდან ახლად გაღვიძებულ დედამიწას ღუნღულა სხეული მოუჩანდა, რომელიც საოცარ აღტაცებას და მოკრძალებას ჰბადებდა. ბიჭმა მოწითალო ღრუბელს მოჰკრა თვალი, რომელიც დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა. გამოერკვა და გაცლა ამჯობინა. ღონივრად მოიქნია ფრთები და ის იყო სოლივით აიჭრა, ღრუბელი დაეწია და სწრაფად წასჩურჩულა: – „მზე ამოდის, დაასრულე ფრენა, გამბედაობა თვითმკვლელობას არ ნიშნავს...»

ბიჭს ეს ნათქვამი ეუცნაურა და გაღიმებულმა ჰკითხა: – განა რას დამიშავებს, დამსჯის?... არა, ამას არ იზამს, ის ხომ სამყაროს დედაა და ესეიგი ჩემიც... თავადვე გასცა პასუხი და მოკრძალებით შეხედა. მოწითალო ღრუბელი წარბაწევით, მკაცრად შესცქეროდა და ადგილიდან არ იძროდა.

იქნებ მართლაც არ ესიამოვნოს ჩემი დანახვა-დაეჭვდა ბოლოს ბიჭი. არა, შეუძლებელია, შეუძლებელი, მან კარგად იცის – ვინ, რას შეჰბედავს...

ამასობაში შეამჩნია, რომ არწივი ნება-ნება ქვემოთ ეშვებოდა. ბიჭი მოულოდნელობისაგან შეცბა, ნუთუ მასაც ერიდება?..., გაკვირვებული ვერ იჯერებდა...

არწივი კი განაგრძობდა დაბლა დაშვებას. დაბალი კამარით გადაუფრინა აზურმუხტებულ მთებს და მოშორე-ბით, კლდის ნაპრალისაკენ გაფრინდა. ბიჭმაც არ დააყოვნა და უკან მიჰყვა. არწივი იქვე, ბამბის ქულებად გადაპენტილ ალუბლის ხეზე ჩამოჯდა და თავდახრილი ღირსებით მზის პირველ სხივებს მიესალმა. ბიჭმაც მას მიჰბაძა, მოწიწებით გაისუსა და მის დიდებულებას თავის აწევა და შეხედვაც ვერ აკადრა. უცნაურმა ჩურჩულმა გამოაფხიზლა. მიაყურადა, ალუბალის ხე ჩაკეცილ კაბის კალთას ჩიოდა და ბურტყუნ-ბურტყუნით ისწორებდა. ბიჭს გაეცინა. მეფემ ჩამოისვენა მასთან, ის კი უკმაყოფილოდ წუწუნებს. რას არ შეხვდები კაცი, გაიფიქრა თავისთვის და მოტკბო სურნელი იგრძნო. დააკვირდა, მისმა სისპეტაკემ და ჰაეროვნებამ დათრგუნა და მიხვდა დედოფლობა მასაც დამშვენდებოდა. ჩაწვდა მის გულისტკივილს და უხმოდ თანაუგრძნო.

ალუბლის ხე კლდის ნაპრალიდან უნიადაგოდ ამოზრდილიყო, ნეტა რა ამაგრებდა?...

ობლის თვალით გადმოსცქეროდა გარემოს და მთელი ძალით აფეთქებულიყო. ვერ იკავებდა სიცოცხლის სიყვარულით გამოწვეულ ემოციებს და ნიავს უხვად ატანდა ნაზ ფურცლებს. ამ პატარა ბარათებით თითქოს სამყაროს ესაუბ-რებოდა, თავის არსებობას ატყობინებდა. როგორც ყოველი სილამაზე არავინ იცის საიდან მოდიოდა ან საით მიდიოდა. არც არაფერი იყო საცოდნარი. ისე, როგორც ყველა დიდებულება უბრალოდ და მარტივად შემოდიოდა სულში, თავის ადგილს იმკვიდრებდა და სამუდამოდ რჩებოდა. სიკეთისკენ გიბიძგებდა, გა-ათბობდა, მთელი ცხოვრება დაგყვებოდა და გაბედნიერებდა... რა ცოტა ყოფნის ადამიანს იტყვის რომელიმე ბრძენი, მაგრამ სწორედ დროის სიმცირე გამოარჩევდა წამის დაუვიწყარ მშვენიერებას. განსაცდელის დროს თავს, რომ გახსენებს დანანებით, და ბევრ ტანჯვას და წამებას გადასწონის. შენივე წარმოსახვის და აღქმადობის ეს უიშვიათესი უნარი გატანინებს და გეხმარება ადამიანად შედგომაში, შემდგომ კი პიროვნებად ჩამოყალიბებაში რაც ქვეყნიერებას ასე უხვად სჭირდება...

მათ ვისაც ჭვრეტის მოთმინება შესწევს ბუნება უამრავ სილამაზეს უძღვნის. ვისაც ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის დანახვა და აღმოჩენა აინტერესებს, ვინც არ ნებდება. ვინც სამყაროს ცოცხალ არსებად აღიქვავს და მასთან გასაუბრებას დიდ პატივად თვლის. ისიც უშურველად აჯილდოებს და უამრავ საიდუმლოს უმხელს. სამყაროსთან შედარებით, ეს პატარა, ციცქნა ხე გაოცებდა სიცოცხლის სიყვარულით, თავის სიჯიუტითა და რწმენით. სწორედ ამიტომაც სწყალობდა ბედი და სიცოცხლის გაგრძელების უნარს ანიჭებდა იმ წარმოუდგენელ პირობებში, სადაც ჰყვაოდა და ხალისობდა. ვინც არ ნებდება, ვინც ფანტაზიას ანვითარებს და სჯერა რომ ყველა ცოცხალი არსება თავისებურად აზროვნებს – უხარია, უყვარს, სწყინს და სტკივა. ამ ემოციების ერთობ-ით ესაუბრება სამყაროს და ემადლიერება, რომ სიცოცხლის, სიყვარულის დანახვისა და აღქმის უნარი განაცდევინა და მისცა, რომლის გარეშეც სიცოცხლე აზრს კარგავს და მხოლოდ არსებობად იქცევა.

ნაპრალის სიღრმეში ალუბლის ყვავილებივით თეთრი ჩანჩქერი ბუხუნა ხმით მღეროდა, რომელსაც დრო და დრო შხეფების წკრიალა ხმები უერთდებოდა. წყალი სიმაღლიდან დიდი სიმძიმით ეშვებოდა და ჯადოსნური ზარდახშასავით ზათქით სკდებოდა. შხეფები ათასფერ თვლებად იფანტებოდა ღარტაფებში, ხევებში, უფსკრულებში. თან მიჰქონდა თავისი ყოფნის საიდუმლო – წამიერად გაკრთომის უზადო ეშხი.

არწივი შორიდან, თამამად შეჰყურებდა ჩანჩქერს, თვალით ზომავდა. დიდი სურვილის მიუხედავად ვერ გადა-ეწყვიტა წყალში შესვლა. წყლის ნაკადის თვითეულ მოძრაობას კარგად იმახსოვრებდა და, თუმცა ღელავდა სიდარბაისლეს მაინც ინარჩუნებდა. ბოლოს გადაწყვიტა და ირიბად დაეშვა წყლისაკენ. გვერდიდან შემოუარა, ნა-ხევარწრე დაარტყა და ორად გაყოფილ ნაკადს შორის გასრიალდა. ბიჭი გაოცებული შესცქეროდა არწივს. ის კი მოპირდაპირე მხრიდან ისე გამოფრინდა, გეგონება ჩანჩქერიდან იშვა. მზის სხივები სიყვარულით ელამუნებოდა და ამხნევებდა, როგორც ჩანს ცის დედოფალს მოსწონდა მისი გაბედულება. ჩანჩქერი კი არად დაგიდევდა არწივის სითამამეს, ფენებად ჩამოეშვა გამჭვირვალე, ნაზი ფარდები და ათასფერებში ბრწყინავდა ცისარტყელის გვირგვინით დამშვენებული. ბუნებას ერთი მეფე ან დედოფალი არ ჰყავდა. ყველა და ყველაფერი სილამაზეს და მშვენიერებას ეტრფოდა და ლიდერობის ამბიცია მათში იკარგებოდა. ამიტომ კეთილშობილების მაღალ რეგისტრებს აღწევდა და ადამიანში არამარტო თავისი ფიზიკური სილამაზით შემოდიოდა არამედ თავისი სულიერებით ივანებდა. ბიჭი არწივის თვითეულ მოძრობას, მიმოხვრას აკვირდებოდა. ბოლოს თვითონაც აიწია, ჩანჩქერისკენ გაფრინდა. არწივისებრი მანერით მოექცა ნაკადებს შორის, გადაკვეთა იისფერი ციალი და მეორე მხრიდან, სწრაფადვე მოექცა წყალზე. ბიჭი აღფრთოვანდა..., გამოუვიდა..., შესძლო.... და არწივს თანაგრძნობით გახედა. არწივს ბუმბულზე, მსხვილ, ფერად მარგალიტებად შერჩენოდა წყლის წვეთები. თითქოს ჩანჩქერისთვის გამოეტაცა ბრწყინვალება და მთის წვერზე ამაყად ჩამომჯდარი გამარჯვებას ზეიმობდა. ამის და ნახვაზე ბიჭს სიმშვიდემ უმტყუნა, გრძნობამორეულმა თავის ფრთებს დახედა. ჩანჩქერს ისიც დაეჯილდოებინა, უხვად გაემეტებინა თვალ-მარგალიტი.

არწივმა ერთი ღრმად ამოისუნთქა და სიზარმაცე შერეული რონინ-რონინით გაფრინდა. ისე, თითქოს ჩანჩქერი აღარც აინტერესებდა. ბიჭმაც აღარ დააყოვნა, სწრაფად შემობრუნდა, აკეცილი ფრთები მთელი სისრულით გაშალა და არწივს აედევნა. არწივი უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა, ბიჭიც ტოლს არ უდებდა. მზეც უფრო და უფრო აცხუნებდა. არწივის ფრთებზე ბრწყინვალება ქრებოდა - მარგალიტები ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებოდნენ, ბიჭის სხეულსაც იგივე ემართებოდა და მზეს საყვედურით გახედა. მზემ არ აპატია ასეთი კადნიერება და მისმა სხივებმა თვალი მოჭრა. ფრთები სწრაფად აიფარა სახეზე, თითქოს ცეკვის რაღაც ილეთს ასრულებდა. უცებ იგრძნო მისი დაჭიმული, გამართული ფრთები ნელ-ნელა, როგორ ეშვებოდა, მძიმდებოდა და მოუქნელი ხდებოდა. შეამჩნია, როგორ პატარავდებოდა, ილეოდა და სხეულს ვეღარ ერეოდა. მიუხედავად სიპატარავისა, თითქოს ლოდად ქცეულიყვნენ. ქვის სიუხეშემ შეზარა, ააფორიაქა. მიწაც მთელი სისწრაფით უახლოვდებოდა. ატმოსფერო მის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლებდა...

ბიჭმა შეამჩნია, მიწა ისეთი ლამაზი აღარ იყო, როგორც სიმაღლიდან მოჩანდა, სიახლოვე მის ყველა ნაკლს აჩენდა. ის გაფართოებული, შეშინებული თვალებით უახლოვდებოდა მიწას, მაგრამ არ ნანობდა. საბედნიეროდ, უცებ ძლიერი ქარი ამოვარდა, ბიჭს მიუახლოვდა და თითქოს მისი სხეული ბადეში გამოჰკრა, სადღაც შორს გაიტაცა. ბიჭს გულზე მოეშვა, კიდევ ერთხელ შეიგრძნო ქროლვის ბედნიერება და ბოლომდე მიენდო, მაგ-რამ ქარი დიდხანს ვეღარ უპატრონებდა. დაბლა ოკეანე ხმაურობდა, მარილისა და თევზის სუნი ჰაერს მონატრებულივით ერეოდა. წყლის შეგრძნებამ თითქოს დაამშვიდა და ისევ ცას ახედა. ოკიანე არაფრით განსხვავდებობოდა ციდან. ეს ხომ, მხოლოდ შემოსაზღვრული დიდი სისავსეა – ფიქრობდა ბიჭი.

ნეტა რომელია ანარეკლი – ოკეანე ცის, თუ ცა ოკიანის?. ქარი სუსტდებოდა, ბიჭს სხეულის წონის შეგრძნება უბრუნდებოდა. ჰაერში ორჯერ ამოტრიალდა, ბზრიალით, გასროლილი ქვასავით იწყო ვარდნა. ბიჭმა ხელები წინ გაიშვირა, მთელი სხეულით გასწორდა, გაემზადა. წყლის შეგრძნებამ გამოაფხიზლა, მაგრამ...

დრო მდორედ იწყებოდა... მარადისობის მწუხარება ისევე უკიდეგანო იყო, როგორც ცა და ოკიანე...

დედამიწა სიკეთისა და ბოროტების შავ-თეთრი ლაქებით მოჩითულიყო...

ბიჭს უკვირდა, როგორ უცაბედად შეცვლილყო მიწა. თავის სახლს ეძებდა, მაგრამ ვერ აგნებდა. მხოლოდ დედას ხედავდა, რომელსაც ეხებოდა, დედა კი ვერაფერს გრძნობდა. მწუხარებით მოვარაყებულიყო მისი არსი...

თავისუფლებაზე ფიქრი მას ღირსებას მატებდა და შვილს მთელი გულით უთანაგრძნობდა. მისი სიამაყე ამარცხებდა ყოველგვარ ტკივილს და მტკიცე კლდესავით აღმართული ისიც ცაში არწივს ეჯიბრებოდა. დედა, დედა, იმეორებდა გამომშრალი ტუჩებით ბიჭი, მაგრამ არც არავის ესმოდა და ვერც ვერავინ ხედავდა...

ბიჭი სევდამ შეიპყრო, მიხვდა, როგორ გაწყდა ყველაზე ძლიერი კავშირი მიწასთან და გული ეტკინა..., მაგრამ თავისუფლების სიყვარული მის დედაში ცოცხლობდა და მის გენში ხმაურს აგრძელებოდა...

რაღაც ნათელი მოეფინა, რომელიც სითბოთი ავსებდა და მაღლა ეწეოდა. უცხო იყო ეს ნათელი და შეგუება უჭირდა...

შენ ხომ თავისუფლება, ფრენა გინდოდა - ჩასჩურჩულა ხმამ.

დედამიწაზე თავისუფლება, იდეებისთვის ბრძოლა და ახალ-ახალი კანონების ერთიანობაა - „გამოგონილი სიმართლე»... სანამ ჭურჭელს არ დაამარცხებ ის არ მიიღწევა. ასე იტყუებს თავს მთელი სამყარო. ჭურჭლის დამარცხება კი, მხოლოდ გმირებს ხელეწიფება, ჭეშმარიტ გმირებს, რომელიც ძალზე იშვიათია. გმირობისთვის წინასწარ არავინ ემზადება. ეს სტიქიური მოვლენაა სიყვარულისა და ზნეობის კვალზე. სამყარო სავსეა ფსევდო გმირებით, აქ არავის სჯერა მათი...

გამომყევი..., ისევ ჩასჩურჩულა ხმამ და ჭეშმარიტების მძიმე კარი ჭრიალით ერთად შეაღეს...

**ლიტერატურული გვერდი - პოეზია**

## მ ი ლ ო ც ვ ა

**დაბადების დღეს,** 90 წლის იუბილეს ვულოცავ ჩემს ერთადერთ ბიცოლას **კლარა ლეკვეიშვილს**... განათლების სამინისტროს გამორჩეულ თანამშრომელს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეებისთვის, დამსახურებულ ინჟინერს და თაობების აღმზრდელს, კარგ მეუღლეს (ნათელი ოთარ ბიძიას სულს ), კარგ დედას , დედამთილს და ბებიას... გილოცავ ჩემო ძვირფასო კლარა ბიცოლა, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებ, ჩვენც შენი წყალი გადმოგვსხმოდეს და ღირსეულად გაგვეძლოს ამ რთული ცხოვრებისთვის... გვიყვარხარ!..

***მაია, დოდო, ნანა, მანანა...***



**გერმანე საზანოელი**

## დაბადება

**თითქოს** სიცოცხლეს სისხლძარღვის გავლით
ეიოლება, მთით ეს მთქნარება
და მომხვეჭელი ქარიც ნადავლით
გულის სიღრმისკენ მიექანება.

აღარც დაეძებს ზეცა აისებს,
სურს, შარი მოსდოს რთულს ყოფილებმა,
ზის მიწისაკენ და სულს აღირსებს,
ფრთად, სიყვარულით სრულყოფილებას.

მზე რომ ჭოგრიტით უცქერის მიწას.
სხივები ბოდვით დადის ტოტებში,
მაშინ ხე გამხმარ ფოთლით ტანს იწვავს
უსიამოვნო სიმარტოვეში.

წყლის სილურჯემაც ოცნება დილის
ისე ჩაკარგა მდარე მთვარეში,
რომ მოპარული საამო ჩრდილიც
სასთუმალს ეძებს, არემარეში.

სიცივემაც კი თვალი მოხუჭა
და მოგონებებს აცმევს ლიანდაგს...
კვლავ სითბოს გამო თვალის ოხუნჯად
ყინვის საწოლიც აცრემლიანდა.

თითქოს ეს იყო არც ისე დიდი,
ვით ასხლეტილი კვამლი ცეცხლიდან,
ვით ჩარჩენილი აქ იეზიდი,
ვით შემკობილი ქცევა შეცვლიდან.

დიადი ბრძოლა და შიშის ლოგო
მისაღწევად რომ დაღი ულპება,
რომ არ ჩათვლიან იმ მინდვრის სოკოდ,
რომ უეჭველად დაიღუპება...

თითქოს ზაფხული ცოცხლობს თებერვლით,
ამბობს აგვისტო კვირეებს გვიჭამს,
ვერც მცირედით და ალბათ ვერც ბევრით,
არეულ მარტს ვერ შეუკრეს კრიჭა.

არ სურს უცქიროს თვითონ შენთვის ტყეს,
იანვარს ჰბოჭავს ამპარტავნება,
სურვილებმაც კი ალბათ შეიტყვეს,
მცირე კი როგორ პატარავდება.

ხასიათმაც რომ ერთობა შეჰკრა,
ხსნად შეყინვია სხვის უარს პირზე,
გზადაგზა ხაზავს ფარგალით ერთ რკალს,
სხივს რომ ჰაერი ჰყავს უნაგირზე.

სასთუმალმაც კი ამღვრევის ჟინით
ნახა, რომ ღრუბლის დანამ იელვა
და გადაღლილმა კაშკაშის რიდით,
გამოიფხიზლა ტყეში იელმა.

როცა ოქტომბერს პატივს აჰყრიან,
ნუ გიკვირთ რა ჰქნა აქ ამ ხელებმა,
გზას ვეღარ თელავს, მყარს და მაყრიანს
ის დარდმა მოჰკლა განახელებმა.

და თუკი ვინმეს დაუცდა ფეხი
მას ბანი მისცეს, ზღვა ათენებმა,
წყაროსთან ნახე ასი წლის ვერხვი
დამარცხებულად განათენებმა.

თითქოს სიცოცხლეს სისხლძარღვის გავლით
ეიოლება მთის ეს მთქნარება
და მოხვეჭილი ქარის ნადავლით
გულიც სიღრმისკენ მიექანება.



**მარინა ჩანთარია**

## საქართველოს

**მივდიოდი**, მიმოხატულ, ფოთლადქცეულ,
ფერად-ფერად გზისა პირას,
ისე ნაზად აამებდა სულს ჭრილობებს,
შინაგანად გულსა მტირალს.

რომ იცოდე, შემოდგომა რარიგ მიყვარს,
როგორ მხატავს მისი ჭრელი ფერთა გამა,
მეფერება და ალერსიც ამას ნიშნავს,
აიხსნება ამა ქვეყნის გამოცანა...

როცა ასე თბილი ხარ და რომ არ გითხრა,
ჩემო ტკბილო, დატანჯულო საქართველო,
სილამაზით ია-ვარდქმნილს, მზიანს, დიდხანს -
დიდხანს, დიდხანს, მსურს იზამთრო, იზაფხულო.

სიყვარული მოგხდენია ქართველების,
თუმც შენს გულზე უდენია ცრემლთა წვიმას,
როგორ გშვენის შენ ეგ კაბა ჭრელ ფოთლების,
დედოფალო, სილამაზით სულ რომ ბრწყინავ.

მაგრამ მარტო ეგ მშვენება რას გიშველის?
როცა გული მოხარშულა ტანჯვისაგან,
როცა აგერ, მოგაჩერდა დიდი მტერი,
ფოთოლ-ფოთოლ ვეხეტები დარდისაგან.

რომ იცოდე, შემოდგომა რარიგ მიყვარს,
დარდს მიამებს მისი ჭრელი ფერთა გამა,
მეფერება და ალერსიც ამას ნიშნავს,
აიხსნება ამა ქვეყნის გამოცანა.

## ***(სატრფიალო)

**მითხარი**, წამოდი ჩემთან,
ერთად, რომ ვიაროთ ყველგან,
როს მოვა ლამაზი თოვა,
როს მოვა წვიმა და თავსხმა.

მითხარი, გავიქცეთ სადმე,
ავაგოთ ქოხი და მართლა
მოვეშვათ ქალაქის სახლებს
და დავდგეთ ზეცაზე მაღლა.

მითხარი, არავინ გვისმენს,
მე ვიგებ, მხოლოდ შენს ნათქვამს,
იმასაც, რასაც კი ფიქრობ -
ფიქრობ და ვერ ამბობ ახლა.

მითხარი, თორემ დრო უცებ,
ქუხილით მოიყვანს ავდარს
და ვეღარ მიპოვი აქვე,
ვერ მნახავ შორს წასულს, სხვაგან.

მითხარი, მიყვარხარ ძლიერ,
ათასჯერ და დროს ნუ კარგავ,
ვიდრე დრო დაგვითვლის ციფრებს,
სიყვარულს ჩაგვითვლის ზღაპრად.

## მონატრება

**ისე** მალე მოვა ნოემბერი,
ისევ წვიმიანი, წუწუნით,
ქარებს თან მოჰყვება ისევ ბევრი,
სველი ბეღურების ჟღურტული.

სახლში დაბუდებულს მომესმება,
გარეთ ხეთა ფოთოლთ ფუთფუთი,
ბევრი მოგონება, მონატრება
და თან ღუმელი და ფუსფუსი.

აგერ, ნოემბერიც მოგვადგება,
უკვე ქარია და ბუზღუნი,
შინ კი არაფერი მენაღვლება,
როცა ღუმელშია გუზგუზი.

როცა სახლი ზღაპარს ემსგავსება,
უხვი სიყვარულით, ბაასით,
მხოლოდ მოგონება, მონატრება
ბევრად ძნელია და ზღვა არის...

## მთანო

**გადაგეფარა** ფარდაგი,
დედისგან მოქსოვილი,
ლამაზია და ამაყი
მთა, მუდამ მხარგაშლილი.

მოხატულია კალთები,
გშვენის ფერები თბილი,
მოჩანან, როგორც ხალები
ცხვარ-ძროხა შენი ხიბლი.

გეალერსები, ჭრელ-ჭრულავ
მთანო, ამ სისხამ დილით,
სიცოცხლე მანდ სჯობს გლეხურად,
მანდ მირჩევნია ფიქრი...

ნისლები, როს ჩამოწვება,
მერე პირს დაგბანს ცვარი
და გამაოგნებს ბუნება,
სამოთხის შესადარი.



**მანანა დუნდუა**

## ***

**თავს** უკვე განვლილ ცხოვრებით ვირთობთ
და მომავალი გვაკრთობს ბავშვივით,
თუმც უკვდავებას არავინ ვითხოვთ,
ვერც სიკვდილს ვხვდებით ხელებგაშლილი...

ერთმანეთს მხოლოდ რეცეპტს ვთავაზობთ-
„დათრგუნვად ხორცის, სალბუნად სულის"...
აღსასრულისკენ მიგვყავს სამყარო,
ყველგან რეფრენად დაგვყვება შური...

გალახულია ცხოვრება ჩვენით
და ძალადობას აღარ გვპატიობს,
ჩამოუგორდა ღვთისმშობელს ცრემლი
და ჩვენზე ლოცვით ხვდება ალიონს!..

ფიქრები მაინც წარსულს გამოსცდა
და მომავლისკენ აიღო გეზი,
რადგან წინ გველის დიდი გამოცდა,
დროა, გოლგოთას ავუყვეთ ფეხით...

## ზამთრისპირული ექსპრომტად...

**დღე** შემოდგომის-
წითელი ქარვა,
დამჭკნარი ფოთლის
უხმო ტირილი...
გადაზნექილი
ქარისგან ალვა
და ზამთრისპირის
ჩუმი ღიმილი...

„დღე ამთავრებდა
თავის თავს წყნარად",
არ ადარდებდა
ხვალეზე ფიქრი,
სულ არ იმჩნევდა
რატომღაც დაღლას,
გზას წარსულისკენ
მიჰყავდა ისიც...

ჩვენ კი დავიცდით,
დრომ თუ გვაცალა
და გაზაფხულის
გაგვხადა ღირსი,
სანამდე ზამთრის
ჩაივლის ტალღა,
სჯობს, ოცნებებით
დავღალოთ ფიქრი...

„დღე ამთავრებდა
თავის თავს წყნარად",
უცდიდა ღამე
ჩვეულ სიმშვიდით...

## ***

**იჯდა** და
კემსავდა...
კერავდა....
აწებებდა...
ყველაფერს
დახეულს,
გატეხილს-
ამრთელებდა...
ბოლოს,
თვითონაც
რომ იქცა
ნაფლეთებად,
სულს
ფრთები
მიაკერა-
ცაში
გასაფრენად...

## ***

**არაფრით** არ ჰგვანან
დღეები ერთმანეთს,
თუმც გუშინდელივით-
დღეს ისევ ქარია...
უკვე ვეღარ ირგებს
ამინდი ფერადებს
და უწინდელივით,
აღარც უხარია...

არაფრით არ ჰგვანან
დღეები ერთმანეთს,
თუმც ერთფეროვნება
ფარივით აკვრიათ,
ფანჯრიდან პეიზაჟს
ჯერ კიდევ ამშვენებს-
ფერადი ფოთლებით
ნაქარგი არშია...

არაფრით არ ჰგვანან
დღეები ერთმანეთს,
თუმცა სხვა რა გინდათ-
ბედის ირონია,
მზე აღარ დაჰყვება
ოქროდ შენს ქერა თმებს,
ზამთრის მკაცრ განაჩენს-
ვერცხლს კი-იპოვნიან...

არაფრით არ ჰგვანან
დღეები ერთმანეთს...



**ნუგზარ კობერიძე**

***ბატონი ნუგზარი** 13 ნოემბერს იუბილარი იყო.
ვულოცავ პატივისცემით.*

***გერმანე საზანოელი***

## ნაუბრი წყალი

**ნაუბრებს** თუ ნასაუბრებს
უმსგავსოს თუ მსგავსს,
რაო წყალსაც ენა აქვს
თუ შენ არა სცემ ხმას.

დიდ ხუთშაბათს ავიღოთო
ჩვენ ნაუბრი წყალი,
წესი არის ასეთი თუ
ღვთის გვმართებს ვალი?

ყველა წყალი შეიძლება?
ზოგი მოდის მთიდან,
წყაროს წყალი,მხოლოდ წყაროს
არა, არა ჭიდან
რატომ წყაროს ?იმიტომ, რომ
ლაპარაკი იცის
რაკრაკებს და ისე მოდის
თქმა არ გინდა ფიცის.
ჰოდა, თუ კი ეუბრები,
მუნჯთან რა გაქვს საუბრო
წყალი უბრად იქ აიღე
ვისთანაც სულ საუბრობ.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი"
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N7 (4606)
24 ნოემბერი / 2022 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113